პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
12 ივლისი
1939 წ.
№ 158 (5558)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია:

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით (მოწინავე)
ბრძანებულებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვ.)
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა (1-ლი გვერდი)
დ. ყიფშიძე—სტალინური წრთობის ახალი ადამიანები (მე-2 გვ.)
საკარმიდამო ნაკვეთების აზომვა (მე-2 გვ.)
გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას (მე-3 გვ.)
გადაჭრით გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივი კვება (მე-4 გვ.)
„ჯავშნოსანი პოტიომკინი“ (მე-4 გვ.)

უცხოეთში:

ჩემბერლენის განცხადება თემთა პალატაში (მე-2 გვ.)
საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-2 გვ.)
საუდის არაბეთი (მე-2 გვ.)

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

ხარკოვის ტ. შევჩენკოს სახ. უკრაინული დრამის თეატრის გასტროლები დასასრულს უახლოვდება.

მოძმე რესპუბლიკის მოწინავე თეატრის გასტროლები საქართველოს სსრ დედაქალაქ თბილისში, როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევი მეგობრობის ნამდვილ დემონსტრაციად იქცა. ამავე ნიშნით მიმდინარეობს თბილისის რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი თეატრის გასტროლები უკრაინის სსრ ქალაქებში.

მტკიცე სტალინური მეგობრობით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან დიდი საბჭოთა კავშირის ბედნიერი ხალხები, რომლებიც დღეს სოციალიზმის გამარჯვებას ზეიმობენ.

ჩაებნენ რა საერთო ძალღონით კომუნიზმის აშენების საქმეში, **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** დიადი მოძღვრებით შეიარაღებული მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის მრავალმილიონიანი მასები გამარჯვებათა სულ ახალ და ახალ მწვერვალებს იპყრობენ.

ტყიბულისა და ტყვარჩელის მაღაროელებმა, მახარაძელმა კოლმეურნეებმა, ქართველმა მეცნიერებმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, რკინიგზისა და ადგილობრივი გზების მუშებმა უკვე ერთი წელია, რაც სოციალისტური შეჯიბრება გაშალეს დონბასელ მაღაროელებთან, უკრაინელ კოლმეურნეებთან, მეცნიერებთან, სტუდენტებთან და ტრანსპორტის მუშაკებთან. საერთო ძალღონით, უდიდესი შემოქმედებითი გზნებით ისწრაფვიან ისინი როგორც საკუთარი რესპუბლიკის აყვავებისაკენ, ისე მთელი საბჭოთა ოჯახის საერთო კეთილდღეობისაკენ, სტალინური ხუთწლედების წარმატებით შესრულებისაკენ, თავისუფალ ადამიანთა თავისუფალი საზოგადოების — კომუნიზმის დამკვიდრებისაკენ.

მატერიალურ კეთილდღეობასთან ერთად ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კულტურული ცხოვრების დონე შეუდარებლად გაიზარდა. ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნილება გაზეთსა და ჟურნალზე, კარგ ლექსსა და მოთხრობაზე, თეატრალურ და კინო-სანახაობაზე, კარგ რომანსა და მუსიკალურ ნაწარმოებებზე. ლაღად ისხამენ ფრთას და ვითარდებიან ხალხის ტალანტები, რომლებიც ოდესღაც კაპიტალისტური მონობის მძიმე უღლის ქვეშ გმინავდნენ. იმ ხალხებმაც კი, რომელთაც ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციამდე დაბალი კულტურა ჰქონდათ, პარტიისა და ხელისუფლების შეუნელებელი ყურადღების შედეგად შექმნეს მშობლიური — ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური—კულტურა, რომლის ნიმუშები მთელი საბჭოთა კულტურის ოქროს ფონდშია შესული.

გამარჯვებული ხალხის ხელოვნების მუშაკები—აშუღები, აკინები, კობზარები უმღერიან ახალ ცხოვრებას, ადიდებენ მის შემოქმედს, ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს **დიდ სტალინს**, რომელმაც მოძმე ხალხებს შეუქმნა ბედნიერი, საამური და სასიხარულო ცხოვრება.

არსად არ განიცდის ისეთ აღმავლობას ხელოვნება და, კერძოდ, თეატრალური ხელოვნება, როგორც საბჭოთა კავშირში. თუ უცხოეთში თეატრი მოჰკლა ხელოვნების სხვა დარგებთან უთანასწორო კონკურენციამ და მან დაჰკარგა მაყურებელი, ჩვენში, პირიქით, ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად თეატრი გადაიქცა მასების კომუნისტურად აღზრდის მძლავრ საშუალებად.

მარტო ჩვენს ქვეყანაში იპყრობს თეატრი მხატვრული ოსტატობის ახალ-ახალ მწვერვალებს. საამისოდ მას ყველა პირობაც აქვს.

საბჭოთა აქტიორის შემოქმედება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობისა და ყურადღების ცენტრშია. ჩვენი მსახიობი თავისუფალია ყველა იმ შემზღუდავი პირობებისაგან, რომელიც ბორკავს მხატვრის შემოქმედებას კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ხელოვანი ოქროს ტომრის მონაა.

საბჭოთა მსახიობი მოწინავე ძალაა იმ ინტელიგენციისა, რომელიც მოწოდებულია კომუნისტურად აღზარდოს ბედნიერი საბჭოთა ხალხი.

ასეთმა დიდმა მოწოდებამ და თავისუფალმა შემოქმედებამ გარდაჰქმნა ჩვენი ქვეყნის თეატრები და სტალინური ეპოქის სიმაღლეზე აიყვანა ეს ხელოვნება. საბჭოთა მაყურებელს უყვარს თავისი თეატრი მშობლიური სიყვარულით, რადგან მასში ხედავს ძალას, რომელიც აღაგზნებს მას ბრძოლისათვის სოციალისტური მშენებლობის ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ჭეშმარიტი სოციალისტური ხელოვნების ენა ინტერნაციონალურია და მრავალერიანი მასებისათვის გასაგები. ამიტომ არის, რომ თბილისის მაყურებელი შევჩენკოს თეატრის სპექტაკლებში ჩასწვდა იმ მაღალ იდეებს, რომლებიც ამ თეატრის დადგმებს ახასიათებს. „ბოგდან ხმელნიცკის“ ნახვამ ის აღაგზნო პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სპეტაკი გრძნობებით. „სიმართლემ“ მას გაუცოცხლა მძაფრი რევოლუციური შეტევის რომანტიკული დღეები, როდესაც რუსეთის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ძლევამოსილ ლაშქრობას აწყობდნენ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, „ნაზარ სტოდოლიამ“, „გული მიუშვი ნებასა“ და სხვ. მას წარმოუდგინეს ის დუხჭირი წარსული, რომელშიაც გმინავდა მეფის თვითმპყრობელობის დროს ჩაგრული უკრაინის ხალხი.

მოძმე უკრაინის მოწინავე თეატრმა — შევჩენკოს სახელობის თეატრმა გვიჩვენა მიღწევები, რომელიც მოპოვებულია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განმტკიცების საფუძველზე.

ოდესღაც უკრაინული თეატრი, ისე როგორც ქართული, თვითმპყრობელობის მხრივ სასტიკ დევნას განიცდიდა. მისი წმინდათაწმინდა შეგინებული იყო. უკრაინული თეატრის მსახიობობა ღირსების დამცირებად ითვლებოდა, უკრაინული დრამატურგია — სათაკილო საქმედ. ოქტომბრის დიადმა სოციალისტურმა რევოლუციამ, გაანადგურა რა მეფის თვითმპყრობელობა, უჩვეულო სიმაღლეზე აიყვანა უკრაინის ხალხის შემოქმედება, ისევე როგორც ყველა მოძმე რესპუბლიკათა ხალხებისა. ამის მოწმეა დღეს თბილისის მაყურებელი.

იმ დროს, როცა ისტორიის მიერ სასიკვდილოდ განწირული კაპიტალიზმის ქვეყნებში ფაშისტ-ბარბაროსები ფეხქვეშ სთელავენ კულტურას, სდევნიან მის საუკეთესო წარმომადგენლებს, ცეცხლში სწვავენ ხელოვნების საუცხოო ქმნილებებს და ადამიანის აზროვნებას შუასაუკუნოებრივ არტახებში ამწყვდევენ, უაღრეს სიხარულს განიცდიან ბედნიერი უკრაინელი და ქართველი ხალხები, რომლებიც მოძმე რესპუბლიკების კულტურის და ხელოვნების გაფურჩქვნას ხედავენ. ამ პირობებში კიდევ უფრო იზრდება და მტკიცდება ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა, რომელიც „დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს“ **(სტალინი)**.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელები, გულწრფელად აღტაცებულნი მოძმე საბჭოთა უკრაინის ხელოვნების წარმატებით, მხურვალე მადლობას უძღვნიან შევჩენკოს სახ. თეატრის კოლექტივს და უსურვებენ მას შემდგომ წარმატებებს მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

11 ივლისს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის IX პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა გაანთავისუფლა ამხ. ლ. გაბრიაძე საქალაქო კომიტეტის მესამე მდივნის თანამდებობიდან მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო და საქალაქო კომიტეტის მესამე მდივნად ერთხმად აირჩია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ნინო კიკაჩეიშვილი.

ე. გვასალია

ლაგოდეხმა შეასრულა მოსავლის აღების გეგმა

ლაგოდეხი (ტელეფონით საკ. კორ.). ლაგოდეხის რაიონმა 10 ივლისისათვის შეასრულა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა. მოსავალი, ნაცვლად 9249 ჰექტარისა, აღებულია 9251 ჰექტარზე. მოსავალი ყველაზე ადრე და უთანაკარგოდ აიღეს სოფ. წითელი-დროშისა და ულიანოვკის წითელარმიელის სახელობის კოლმეურნეობებმა. სოფ. ულიანოვკის წითელარმიელის სახელობის კოლმეურნეობამ ერთი ჰექტარიდან საშუალოდ 22 ცენტნერი პური მიიღო.

მოსავლის აღება გრძელდება. გაცხოველებით მიმდინარეობს პურის ლეწვა.

დ. ბატიაშვილი

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით

ტელეგრაფით „კომუნისტის“ რედაქციას

ზესტაფონის რაიონში აბრეშუმის პარკი უნდა დამზადებულიყო 80.000 კილოგრამი. 7 ივლისისათვის დამზადებულია 84.150 კილოგრამი. გეგმა შესრულებულია 105.1 პროცენტით. პარკის საშუალო გამოსავლიანობა ერთ კოლოფზე უდრის 52 კილოგრამსა და 600 გრამს.

მეორე გამოკვების აბრეშუმის ჭიის დარიგების გეგმა შესრულებულია.

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი ძიძიგური

რაიაღმასკომის თავმჯდომარე სალაძე

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კოლმეურნეობებში სარწყავი წყლის განიავებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საკოლმეურნეო ნათესებს დიდ ზიანს აყენებს წყლის განიავება და დატაცება კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებისა და ერთპიროვნულ მეურნეთა მიწების მოსარწყავად. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯეროვნად არ იბრძვიან წყლის წესიერი გამოყენებისათვის საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობის გასადიდებლად, დაუსჯელად სტოვებენ წყლით სარგებლობის გეგმების უხეშ დარღვევებს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 7 ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებით პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს სარწყავ რაიონებში წინადადება მიეცათ სასტიკად დაესაჯათ წყლის განიავებასა და დატაცებაში დამნაშავენი, მაგრამ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს მითითება არსებითად უგულებელყოფილია. ამის შედეგად სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში ადგილი აქვს კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებისა და ერთპიროვნულ მეურნეთა მიწების მოსარწყავად სარწყავი წყლის დატაცების მრავალრიცხოვან ფაქტებს კოლმეურნეობათა მიწების მორწყვის საზიანოდ. საჭიროდ სთვლიან რა დაუყოვნებლივ შესწყდეს ასეთი ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაკოლმეურნეო პრაქტიკა, რომელიც იწვევს კოლმეურნეობებში მოსავლის შემცირებას და ხელს უშლის კოლმეურნეობათა შემოსავლიანობისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის შემდგომ ზრდას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენენ:**

დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის პარტიის საოლქო კომიტეტებს, აჭარის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს, სამხრეთ-ოსეთის ცაკს, სარწყავი რაიონების რაიკომებსა და რაიაღმასკომებს:

1. შემოიღონ წყლით სარგებლობის ისეთი წესი, რომლის დროსაც სარწყავი წყალი პირველ რიგში გადაგდებული იქნება კოლმეურნეობათა მიწებში და განსაზოგადოებულ ნათესებში და მეორე რიგში კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე და ერთპიროვნულ მეურნეთა ნათესებში.

2. დააწესონ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე წყლის გაშვების ვადები და ნორმები დღეღამის განმავლობაში რწყვის დაწესების გათვალისწინებით და უზრუნველჰყონ მათი დაცვის სასტიკი კონტროლი.

3. საირიგაციო სისტემების სამმართველოებისა და რაიაღმასკომების მიერ წყლით სარგებლობის დაწესებული გეგმის შესაბამისად შეიმუშაონ და თვითეული სოფლისათვის დააწესონ წყლის გაშვების ნორმები მოსახლეობისა და პირუტყვის რაოდენობისა და საკარმიდამო ნაკვეთებზე ნარგავთა შემადგენლობის მიხედვით.

4. „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილების მე-10 პუნქტის შესაბამისად კოლმეურნეობებში განსაზოგადოებული ნათესებისაგან საკარმიდამო მიწების გამიჯვნის დროს, აგრეთვე თესლბრუნვის მინდვრების დაპროექტებისა და სოფლების დაგეგმვის დროს მხედველობაში მიიღონ, რომ სასურველი და მიზანშეწონილია დასახლებული პუნქტების წყლითსარგებლობის განცალკევება საკოლმეურნეო მინდვრებისაგან განსაკუთრებული წყალსაგდები არხების მოწყობითა და საკარმიდამო ნაკვეთებზე და დასახლებულ პუნქტებში გაშვებული წყლის სპეციალური აღრიცხვის მოწყობით.

5. გააფართოვონ არსებული ჰიდროსაგუშაგოების ქსელი და შემომვლელთა რაოდენობა სარწყავ სისტემებში იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ნათესების მოსარწყავად წყლის გაშვების საჭირო კონტროლი.

6. განუმარტონ კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს, რომ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების მოსარწყავად წყლის დატაცება განხილული იქნება როგორც წყლით სარგებლობის დადგენილი წესის დარღვევა, ხოლო დამნაშავენი მიცემული იქნებიან სამართალში.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი

1939 წ. 5 ივლისი.

ჩრდილო-დონეცის რკინიგზის კოლექტივის მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა რკინიგზელისადმი

ახლოვდება რკინიგზის ტრანსპორტის სრულიად-საკავშირო დღე — ამხანაგ სტალინის და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიერ კრემლში რკინიგზელთა მიღების წლისთავი; ამასთან დაკავშირებით, ჩრდილო-დონეცის რკინიგზის კოლექტივმა წერილით მიმართა საბჭოთა კავშირის ყველა რკინიგზელს.

ჩრდილო-დონეცის რკინიგზელები თავის წერილში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ რკინიგზის ტრანსპორტის სრულიად-საკავშირო დღის წინ ახალი ძალით ჩაღდება მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. თვითეული რკინიგზელი, ნათქვამია წერილში, მთავრობის მიერ დაწესებულ სადღეღამისო დატვირთვას ივნისში 102.000 ვაგონის რაოდენობით იღებს, როგორც მოქმედების საბრძოლო სახელმძღვანელოს, როგორც იმ უდიდესი ნდობის აქტს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა რკინიგზის მუშაკებს უცხადებს.

„ჩვენი ღირსების საქმეა შევასრულოთ დატვირთვის გეგმა, უზრუნველვყოთ მესამე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულება. ამისათვის ჩვენ ყველა შესაძლებლობა, ყველა პირობა მოგვეპოვება“,—აცხადებენ თავის წერილში ჩრდილო-დონეცის რკინიგზელები. ისინი მოგვაგონებენ ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მიერ საკ. კ. პ (ბ) XVIII ყრილობაზე მოცემულ მითითებას იმის შესახებ, რომ სადგურებზე ვაგონების დგომის შემცირება წარმოადგენს რეზერვს დატვირთვის გადიდებისათვის. ვაგონების ბრუნვის დაჩქარება, მოძრავი შემადგენლობის სადგურებზე დგომის შემცირება — წარმოადგენს ამჟამად რკინიგზელთა გენერალურ ამოცანას!

სახალხო კომისარმა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა თავისი საბრძოლო № 157-ც ბრძანებით დაგვისახა სრულიად კონკრეტული ღონისძიებანი დატვირთვის ახალი ზრდისათვის, ვაგონების ბრუნვის დაჩქარებისათვის.

ჩრდილო-დონეცის კოლექტივი მოუწოდებს ყველა რკინიგზელს გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება № 157-ც ბრძანების ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

ჩრდილო-დონეცის კოლექტივი კისრულობს, რომ რკინიგზის ტრანსპორტის დღისათვის ვაგონების ბრუნვას აიყვანს 1,50 დღე-ღამემდე, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 1,60 დღე-ღამისა. ამით რკინიგზა ყოველ დღე-ღამე დამატებით მოგვცემს დასატვირთავად 915 ვაგონს. ამ მიზნით სატრანზიტო ვაგონების დგომა გზებზე, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 4,6 საათისა, შემცირებულ უნდა იქნას 4,2 საათამდე, დასატვირთავი ოპერაციების შესასრულებლად დგომა შემცირებულ უნდა იქნას 12 საათამდე, ნორმით კი გათვალისწინებულია 12,3 საათი. უბნური სიჩქარე გადიდებულ უნდა იქნას 26,5 კილომეტრამდე, დავალებით კი — 26,1 კილომეტრია გათვალისწინებული.

დონბასის ორი მაგისტრალის — ჩრდილო-დონეცისა და სამხრეთ-დონეცის — კოლექტივთა შეჯიბრებამ, აღნიშნულია წერილში, შესანიშნავი შედეგები მოგვცა. ჩრდილო-დონეცის რკინიგზელებმა გადასწყვიტეს, განაგრძონ ეს შეჯიბრება და ამავე დროს შეჯიბრებაში გამოიწვიონ ტომსკის გზის კოლექტივი. ამ სამი გზის — ქვანახშირისა და ლითონის გზის — შეჯიბრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ჩრდილო-დონეცის კოლექტივი მოუწოდებს ყველა რკინიგზელს მჭიდრო საწარმოო მეგობრობა დაამყაროს კლიენტურასთან, იბრძოლოს სახელმწიფოებრივი მიდგომისათვის თვითეული ვაგონის გამოყენებისადმი, მოუწოდებს აამაღლოს მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას უნდა იღებდეს რკინიგზელთა მთელი სტალინური არმია. (საკდესი).

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

10 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

ლენინის ორდენი გადაეცა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო წითელდროშოვანი სასწავლებლის წარმომადგენლებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან სასწავლებლის ოცი წლისთავის აღსანიშნავად სამოქალაქო ომის წლებში მათი საბრძოლო დამსახურებისათვის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურთა კადრების მომზადებაში მათ მიერ მიღწეული წარმატებისათვის.

ორგზის ორდენოსანი სასწავლებლის სახელით გამოვიდა მე-2 რანგის ფლაგმანი პ. ს. ბრონევიცკი.

ამის შემდეგ სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურთა კადრების აღზრდისა და გამოწრთვნის დარგში გაწეული მრავალი წლის პატიოსანი მუშაობისათვის, ორდენები გადაეცა სასწავლებლის მეთაურებსა და პოლიტმუშაკების ჯგუფს, მათ შორის არიან: 1-ლი რანგის კაპიტანი ამხ. ი. ნ. დმიტრიევი, პოლკოვნიკი ი. ა. ბლაგოვეშჩენსკი, პოლკის კომისარი ამხ. ნ. ი. ბელსკი და სხვა ამხანაგები.

ლენინის ორდენს თავისი წარმომადგენლების მეშვეობით იღებს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი, რომელიც დაჯილდოებულია თავისი არსებობის 20 წლისთავის აღსანიშნავად საბრძოლო დამსახურებისათვის სამოქალაქო ომის წლებში, განსაკუთრებული წარმატებებისათვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურ-ინჟინრების მომზადების საქმეში და ტექნიკის უახლესი ნიმუშების დაუფლებისათვის.

სასწავლებლის სახელით სიტყვით გამოსულმა 1 რანგის სამხედრო ინჟინერმა ამხ. ა. ა. მიხაილოვმა პირობა დასდო, რომ შემდგომი თავისი მუშაობით სასწავლებელი ღირსეულად გაამართლებს მაღალ ჯილდოს.

ორდენებსა და მედლებს იღებენ მე-3 რანგის ინჟინერ-ფლაგმანები ამხ. ლ. ი. ანტონოვი, ვ. ა. სოკოლოვი, მე-2 რანგის ინჟინერ-ფლაგმანი ამხ. ნ. ა. კოჩკინი და სასწავლებლის სხვა მეთაურები და პოლიტმუშაკები, რომლებიც დაჯილდოებული არიან მრავალი წლის განმავლობაში სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურთა კადრების აღზრდისა და გამოზრდის საქმეში პატიოსანი მუშაობისათვის.

შემდეგ წითელი დროშის ორდენი გადაეცა ს. მ. კიროვის სახელობის წყალქვეშა ცურვის სასწავლო რაზმის წარმომადგენლებს, რაზმისა, რომელიც დაჯილდოებულია მისი არსებობის 20 წლისთავის აღსანიშნავად საბრძოლო დამსახურებისათვის სამოქალაქო ომის წლებში, წარმატებებისათვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურთა კადრების მომზადების საქმეში.

რაზმის სახელით მოკლე სიტყვით გამოვიდა ბრიგადის კომისარი ამხ. ნ. ტ. კოცინი.

ჯილდოებს მრავალი წლის განმავლობაში პატიოსანი მუშაობისათვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურთა კადრების აღზრდისა და გამოზრდისათვის იღებს სასწავლო რაზმის მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ჯგუფი. დაჯილდოებულთა შორის არიან: მე-2 რანგის ფლაგმანი ამხ. პ. ს. ბრონევიცკი, 1 რანგის სამხედრო ინჟინერი ამხ. ვ. ი. ბარბაშინი, მაიორი ამხ. ვ. ნ. ვორონოვი და სხვები.

ორდენები და მედლები გადაეცათ საქართველოს სსრ და ირკუტსკის ოლქის სოფლის სკოლების მასწავლებელთა დიდ ჯგუფს, რომელთაც განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი და რომლებიც დაჯილდოებულნი არიან იმისათვის, რომ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს სასოფლო სკოლებში ბავშვთა სწავლებისა და საბჭოურად აღზრდის საქმეში, სასწავლო მუშაობის ჩინებული დაყენებისათვის და სოფლად საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

დაჯილდოებულთა შორის არიან: ძეგვის არასრული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი ქალი ამხ. მ. ა. აბრამიშვილი, გორის რაიონის ბერშუეთის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ამხ. გ. ლ. გლურჯიძე, ხაშურის საშუალო სკოლის მასწავლებელი ამხ. პ. ს. კაპანაძე, ქუთაისის რაიონის ტყაჩირის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი და მასწავლებელი ამხ. ლ. ი. ნიჟარაძე, თელავის რაიონის ზემო ალვანის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი ქალი ნ. ვ. ბახუტაშვილი და საქართველოს მრავალი სხვა გამოჩენილი მასწავლებელი.

მხურვალე მადლობა გადაუხადა რა დაჯილდოებისათვის, ამხ. პ. ს. კაპანაძემ საქართველოს მასწავლებლობის სახელით პირობა დასდო, შემდგომი თავისი საქმეებით გაამართლონ ეს ჯილდო და მაღალი ნდობა, რაც პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა მასწავლებლის მიმართ გამოიჩინეს.

ირკუტსკის ოლქის დაჯილდოებულ მასწავლებელთა შორის არიან: ვტოროტირეტსკის დაწყებითი სკოლის გამგე ამხ. ე. ა. ბესპროზვანიხი, ალექსეევის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. ი. გ. კისელიოვი, ხარამანუტის დაწყებითი სკოლის გამგე ამხ. ე. პ. სერმანოვსკაია და სხვა ამხანაგები. მათი სახელით გამოვიდა ი. გ. კისელევი.

ორდენები და მედლები გადაეცა აგრეთვე კიროვის ქარხნის დაჯილდოებულ მუშაკთა ჯგუფს და მთელ რიგ სამხედრო და სამეურნეო მუშაკებს.

ამხ. მ. ი. კალინინმა გულითადად მიულოცა დაჯილდოებულ ამხანაგებს და უსურვა შემდგომი წარმატება მუშაობაში.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქ. თბილისში მოლოტოვის სახელობის რაიონის შექმნის შესახებ

1. შეიქმნას ქ. თბილისში ლენინის, სტალინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებიდან გამოყოფილ ტერიტორიაზე ახალი რაიონი, რომელსაც მიენიჭოს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის სახელი.

2. მოლოტოვის სახელობის რაიონის საზღვრებად დაწესდეს: ჟორესის ქუჩა, საბჭოს ქუჩა, რკინიგზის ხიდამდე, სუნჯის ხევი, მახათის მთის დასავლეთი ფერდო, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ტერიტორიის სამხრეთ - აღმოსავლეთის საზღვრამდე, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ტერიტორიის საზღვარი რკინიგზის ლიანდაგამდე, ურიცკის ქუჩა, სამოქალაქო ქუჩა კალიაევის აღმართის კედლამდე, კალიაევის აღმართის კედელი, კალიაევის ქუჩამდე, ღვინის აღმართი, სახვაჭრობის ქუჩა მეტეხის ხიდამდე, მდინარე მტკვარი ელბაქიძის სახელობის ხიდამდე. ქ. მარქსის სახელობის დიდი ხიდი მიეკუთვნოს ახალი რაიონის ტერიტორიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1939 წ. 11 ივლისი, ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქ. თბილისში ბერიას სახელობის რაიონის შექმნის შესახებ

1. შეიქმნას ქ. თბილისში კიროვისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონებიდან გამოყოფილ ტერიტორიაზე ახალი რაიონი, რომელსაც მიენიჭოს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელი.

2. ბერიას სახელობის რაიონის საზღვრებად დაწესდეს: მოსკოვის ქუჩა, ელბაქიძის დაღმართი, მდინარე მტკვარი კ. მარქსის სახელობის ხიდამდე, ხიდის ქუჩა, კ. მარქსის სახელობის მცირე ხიდი, ვოლოდარსკის ქუჩა, პრესის ქუჩა რუსის ქუჩამდე, რუსის ქუჩა, პუშკინის ქუჩა, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ქუჩა, ენგელსის ქუჩა ბოტანიკური ბაღის გვირაბამდე, კომკავშირელთა ხეივნისა და სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ჩათვლით, ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1939 წ. 11 ივლისი, ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქუთაისის რაიონიდან ქალაქ ქუთაისის გამოყოფის შესახებ

გამოეყოს ქალაქი ქუთაისი ქუთაისის რაიონს, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრატიულ-ტერიტორიული ერთეული და მიეკუთვნოს იმ ქალაქებს, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1939 წ. 11 ივლისი, ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქუთაისის რაიონის ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონებად გაყოფის შესახებ

1. გაიყოს ქუთაისის რაიონი ორ რაიონად: ქუთაისისა — ცენტრით ქალაქ ქუთაისში და წყალტუბოსი—ცენტრით დაბა წყალტუბოში.

2. მიეკუთვნოს ქუთაისის რაიონს ბარდუბნის, გეგუთის, გოდოგნის, დღნორისის, კვახჭირის, მექვენის, ნაგარევის, ნამახვანის, ნახშირღელის, ოფურჩხეთის, ოფშკვითის, პატრიკეთის, რიონის, საყულიის, საჩხეურის, ტყაჩირის, ქვემო სიმონეთის, ქვიტირისა და ჭოგნარის სასოფლო საბჭოები.

3. მიეკუთვნოს წყალტუბოს რაიონს წყალტუბოს სადაბო საბჭო, გვიშტიბის, გუმბრის, მაღლაკის, მუხიანის, ფარცხანაყანევის, ქვილიშორის, ცხუნკურისა და წყალტუბოს სასოფლო საბჭოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1939 წ. 11 ივლისი, ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის რაიონის თბილისისა და მცხეთის რაიონად გაყოფის შესახებ

1. გაიყოს თბილისის რაიონი ორ რაიონად: თბილისისა — ცენტრით ქალაქ თბილისში და მცხეთისა — ცენტრით დაბა მცხეთაში.

2. მიეკუთვნოს თბილისის რაიონს ავჭალის, დიღომის, გლდანის, ცხვარიჭამიის, კოჯრის, სოღანლუღის, თელეთის, კუმისის, წყნეთის, ლისის, მარტყოფის, ახალსოფლის, ნორიოსი და დიდ ლილოს სასოფლო საბჭოები.

3. მიეკუთვნოს მცხეთის რაიონს გალავნის, მუხრანის, მცხეთის, ნატახტარის, ნიჩბისის, საგურამოს, ქსოვრისის, წეროვნის, წილკნისა და ძეგვის სასოფლო საბჭოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1939 წ. 11 ივლისი, ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჭიათურის რაიონის ჭიათურისა და საჩხერის რაიონებად გაყოფის შესახებ

1. გაიყოს ჭიათურის რაიონი ორ რაიონად: ჭიათურისა—ცენტრით ქალაქ ჭიათურაში და საჩხერისა —ცენტრით დაბა საჩხერეში.

2. მიეკუთვნოს ჭიათურის რაიონს ქალაქი ჭიათურა და ვაჭევის, ითხვისის, კაცხის, მერევის, პერევისის, რგანის, სკინდორის, სარქველეთუბნის, სვერის, ქვაციხის, ჩხირაულის, მანდაეთის, გეზრულის, წირქვალის, ზოდის, ხრეითისა და ჭალოვნის სასოფლო საბჭოები.

3. მიეკუთვნოს საჩხერის რაიონს არგვეთის, ბერეთისის, გორისის, კორბოულის, ლიჩის, პერევისის, საირხის, სარეკის, საჩხერის, ქორეთის, ჩიხის, ჩონთოს, ცხამის, ცხომარეთის, ჭალის, ხვანისა და ჯალაურთის სასოფლო საბჭოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1939 წ. 11 ივლისი, ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ხაშურის რაიონის ხაშურისა და ქარელის რაიონებად გაყოფის შესახებ

1. გაიყოს ხაშურის რაიონი ორ რაიონად: ხაშურისა — ცენტრით ქალაქ ხაშურში და ქარელისა—ცენტრით სოფელ ქარელში.

2. მიეკუთვნოს ხაშურის რაიონს ქალაქი ხაშური და სურამის, ოსიაურის, ტეზერის, ცხრამუხის, ღუდის, ღართის, ხცისის, წრომის, წაღვლის, ფლევის, გომის, ალის, ვაყის, ქვიშხეთისა და ცოცხნარის სასოფლო საბჭოები.

3. მიეკუთვნოს ქარელის რაიონს დაბა აგარა და აბანოს, აბისის, ავლევის, ახალ-სოფლის, ბრეთის, გვერძინეთის, დირბის, ზღუდერის, ზემო-ხვედურეთის, იმერხევის, კეხიჯვრის, მოხისის, მუხილეთის, ტახტისძირის, ქარელისა და ქვენატკოცის სასოფლო საბჭოები და გორის რაიონიდან რუისისა და ურბნისის სასოფლო საბჭოები და სკრის სასოფლო საბჭოს სოფლები ქვენა-ფლავი და ღვლევი, რომლებიც მიეკუთვნოს ზემო-ხვედურეთის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1939 წ. 11 ივლისი, ქ. თბილისი.

კომუნისტი

ოთხშაბათი, 12 ივლისი, 1939 წ. № 158 (5558)

საკარმიდამო ნაკვეთების აზომვა

აზომვა დაგვიანებით დაიწყეს

(ახალციხე, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

ახალციხის რაიონში მიწების აზომვა მხოლოდ 2 ივლისიდან დაიწყო. ასეთი დაგვიანების მიზეზად აქ სთვლიან ბლანკების დროულად მიუღებლობას, მიწსახკომის მიწათმომწყობების გვიან ჩამოსვლას და კოკისპირულ წვიმას აზომვის დაწყების დღეს. ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ საქ. კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომმა და რაიაღმასკომმა ვერ უზრუნველჰყვეს 1 ივლისამდე ჩაეტარებინათ საჭირო ინსტრუქტაჟი კომისიის წევრებისა და მზომავებისათვის. ამისათვის კი იქ ყველა პირობები იყო.

ინსტრუქტაჟი დამთავრდა 1 ივლისს. საღამოს 5 საათზე ამხანაგები გაემგზავრნენ ადგილებზე სათანადო მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად. კომისიის თავმჯდომარეებმა ადგილებზე ჩაატარეს თათბირები საკოლმეურნეო აქტივთან, დაამტკიცეს თავისი მუშაობის კალენდარული გეგმები.

2 ივლისს, შეუდგნენ აზომვას ყველა სოფლებში, გარდა კისათიბისა. აქ ამზომავი კომისიის თავმჯდომარე ამხ. შ. კარანგოზაშვილი ავად გახდა, რის გამო მიწების აზომვა არ უწარმოებიათ არც 2 და არც 3 ივლისს. პარტიის რაიკომში კი ამის შესახებ მხოლოდ 3 ივლისს საღამოს გაიგეს. ამხ. შ. კარანგოზაშვილი რაიკომის ბიუროს დადგენილებით შეცვლილ იქნა მტს-ის აგრონომით ამხ. ვ. დიასამიძით, რომელიც მხოლოდ მეორე დილის 12 საათზე გაემგზავრა კისათიბში.

აზომვის პირველმა შედეგებმა ცხადჰყო, რომ ახალციხის რაიონში ადგილი ჰქონია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯებებს. სოფ. მინაძის მცხოვრებმა, ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ყარა ჯალალ-ოღლიმ მიითვისა კოლმეურნეობის 550 კვადრატული მეტრი მიწა. ახალციხის კოლმეურნეობის წევრმა კომუნისტმა ალ. მანუკიანმა კოლმეურნეობის მიწაზე სიმინდი დასთესა. სოფ. საძელში პასუხისმგებელი მუშაკის, პარტკანდიდატ ო. ოვანესიანის მამა აფ. ოვანესიანი 4 წელიწადს სანახევროდ იჯარით ღებულობდა ქ. ახალციხეში მცხოვრებ პ. ანჯელიანის მიწას. სოფ. აწყურში სამმა კოლმეურნემ გაჰყიდა საკარმიდამო მიწა.

აზომვის მიმდინარეობის დროს აღმოჩნდა, რომ ყველა მიწისმზომავი როდია კარგად დაუფლებული მიწის აზომვის ტექნიკას. 3 ივლისს სოფ. კანთიეთიდან და სოფ. საკუნეთიდან იტყობინებოდნენ კომისიების სუსტ მუშაობაზე. მათ დასახმარებლად ახალციხიდან მივლინებულ იქნენ მიწისმზომელები.

ა. ჭუმბურიძე

რა გამოარკვიეს კომისიებმა

(სიღნაღი, საქ. კორესპონდენტისაგან)

სიღნაღის რაიონში მიწების აზომვის პირველ დღეებში ჩატარებული მუშაობა კარგ შედეგებს იძლევა. კომისიები ბეჯითად მუშაობენ. ისინი მშრომელ მოსახლეობას ახსნა-განმარტებას აძლევენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 27 მაისის დადგენილებაზე. რაიონის კოლმეურნე გლეხობა აღფრთოვანებით შეხვდა ისტორიულ დადგენილებას.

საკარმიდამო მიწების აზომვის დროს ცრუ-კოლმეურნენი შეეცადნენ გადაემალათ საკარმიდამო ნაკვეთები. მაგალითად, წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ს. ბაგალიშვილი შეეცადა გადაემალა 130 კვადრატული მეტრი ფართობი, მაგრამ კომისიის (თავმჯდომარე—ა. ელაშვილი) სიფხიზლის მეოხებით ს. ბაგალიშვილს ოინი არ გაუვიდა.

სოფ. ჯუგაანის კომისიამ აღმოაჩინა, რომ ამ სოფლის კოლმეურნეობა „შრომის" კომკავშირის ორგანიზაციის ორგანიზატორმა შ. კიკილაშვილმა საკარმიდამო ნაკვეთი 954 კვადრატული მეტრის რაოდენობით ორჯერ გაჰყიდა, ჯერ მიჰყიდა ს. ალადაშვილს, რომლისგანაც მიიღო 1.000 მანეთი, ხოლო შემდეგ ქ. ალადაშვილს, რადგან ამ უკანასკნელმა მას მისცა 1200 მანეთი.

პარტიისა და მთავრობის 27 მაისის ისტორიული დადგენილების გაცნობის შემდეგ კოლმეურნეობებში საგრძნობლად იმატა შრომის ნაყოფიერებამ. ერთპიროვნული მეურნეები მასობრივად შედიან კოლმეურნეობებში. მაგალითად, სოფ. ვაქირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში წევრად მიღების შესახებ განცხადება შეიტანა 32 კომლმა, რომლებიც უკვე მიიღეს. ახლად მიღებული კოლმეურნეები სიკო, მატრონა, თამარ ნანობაშვილები, ნიკა და ივანე ქემაშვილები და თომა ქოქიაშვილი მუყაითად მუშაობენ.

კ. ბეჟაშვილი

საგიტაციო მუშაობა სუსტია

(ლანჩხუთი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტებისაგან)

ლანჩხუთში ჩატარდა ძირეული პრესის მუშაკთა, აგრეთვე პარტორგანიზაციების მდივნებისა და აგიტატორების რაიონული თათბირი. თათბირმა პარტიისა და მთავრობის 27 მაისის დადგენილებასთან დაკავშირებით განიხილა მუშსოფლკორთა ძირეული პრესის ამოცანები. მოხსენება გააკეთა პარტრაიკომის მდივანმა ამხ. ფრანგულიშვილმა. კამათში გამოვიდა 12 კაცი.

აღინიშნა, რომ პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ კოლმეურნეობებში გამოიწვია დიდი საწარმოო აღმავლობა, შრომის დისციპლინის განმტკიცება, გაიზარდა ერთპიროვნულ მეურნეთა სწრაფვა კოლმეურნეობისაკენ.

გამოირკვა აგრეთვე, რომ აქ საავიტაციო მუშაობა ჯერ კიდევ სუსტია. მამათის კოლმეურნეობაში აგიტატორებს ქანთარიას, ბარამიძეს და ლომაძეს, ხოლო აცანის კოლმეურნეობაში მგელაძეს და სამსონიას არ დაუმუშავებიათ და არ გაუცნიათ მასებისათვის პარტიისა და მთავრობის 27 მაისის დადგენილება. აგიტატორ სამსონიას არ გაუცნია მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებებიც პარტიის XVIII ყრილობაზე. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში სუსტად ხელმძღვანელობენ კედლის გაზეთების მუშაობას. ჯურუყვეთის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობაში კედლის გაზეთი, რომლის რედაქტორია პარტიის წევრი დოფერია, მესამე თვეა არ გამოსულა, სოფელ ნიგვზიანის კოლმეურნეობაში წელს კედლის გაზეთის მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა.

ტრ. თოდრაძე
დ. რთველიაშვილი

რამის პირველი მოსავალი

(ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას)

ცხაკაიის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 5 ივლისისათვის სახელმწიფოს ჩააბარეს რამის პირველი მოსავალი 1.473 ტონის რაოდენობით. გეგმა შესრულებულია 122 პროცენტით. კოლმეურნეობებმა ჩააბარეს 1.103 ტონა, გეგმის 115 პროცენტი, საბჭოთა მეურნეობებმა—370 ტონა, გეგმის 142 პროცენტი. საბჭოთა მეურნეობებში რამის მოსავლის აღება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი შამუგია

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ბერაია

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში

„საქჩაის" 10 ივლისის ცნობებით

რაიონები	ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა ტონებით	დამზადებულია სეზონის დაწყებიდან ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	1.705	820	48,1	32
ქობულეთი	7.848,6	3.757,3	47,9	34,1
გალი	3.128	1.764,2	56,4	31,8
ოჩამჩირე	1.793	975,9	54,2	26,1
სოხუმი	14	6,6	47,1	28,6
გუდაუთი	16	16,6	103,8	130
მახარაძე	10.011	4.610,2	46,1	34,1
ჩოხატაური	1.253	664,1	53	33,1
ლანჩხუთი	3.350	1.583,5	47,3	33,4
სამტრედია	261	149	57,1	26,3
წულუკიძე	1.151	606	52,6	25
ქუთაისი	317	212,7	67,1	26,7
ტყიბული	510	237,5	46,6	35
ცხაკაია	929	582,3	62,7	31,6
გეგეჭკორი	2.626	1.233,2	47	23,1
ზუგდიდი	4.881,4	2.599,5	53,3	29
წალენჯიხა	1.618	808,3	50	18,1
ჩხოროწყუ	1.302	676,1	51,9	18,1
ხობი	386	194	50,5	20,4
სულ	**43.100**	**21.497,8**	**49,9**	**30,6**

○

ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის რაიონების ცნობებში წალენჯიხის, ჯალე-ფახულანის და ახალ-ხიბულის ფაბრიკების მიერ დამზადებული ფოთლის რაოდენობა შეტანილია 5 ივლისის მდგომარეობის მიხედვით.

ივლისის პირველ ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოჰკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს სულ 1.441 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მეორე ხუთდღიურში კი—1.718,5 ტონა.

შარშან 10 ივლისისათვის საქართველოში დამზადებული იყო სულ 14.151,4 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო 40,4 პროცენტით, ივლისისა კი—28,4 პროცენტით.

მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი პაშა რიაპალოვა, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე.

ჩემბერლენის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 10 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ჩემბერლენი თემთა პალატაში გამოვიდა დანციგის საკითხზე. დღეს, — იუწყება სააგენტო, — თემთა პალატაში მოუთმენლად ელოდნენ ჩემბერლენის განცხადებას დანციგის საკითხზე.

„მე შესაძლებლობა მქონდა უფრო ადრე გამეცხადებინა, — სთქვა ჩემბერლენმა, — რომ დანციგის საკითხზე მთავრობას მჭიდრო კონტაქტი აქვს პოლონეთის და საფრანგეთის მთავრობებთან. ამჟამად მე ვერაფერს დავუმატებ იმ ინფორმაციას, რომელიც უკვე მოვახსენე პალატას დანციგის მდგომარეობის შესახებ. მაგრამ, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება მიმოხილვა მოკლედ ამ საკითხის ზოგიერთ მომენტს, როგორც წარმოდგენილი აქვს ეს მომენტები ინგლისის მთავრობას.

რასული თვალსაზრისით დანციგი თითქმის მთლიანად გერმანული ქალაქია. მაგრამ მცხოვრებთა კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული პოლონეთის ვაჭრობაზე. მდინარე ვისლა პოლონეთისათვის წყლის ერთადერთი არტერიაა, რომელიც მას ბალტიის ზღვასთან აკავშირებს. ამიტომ ამ მდინარის შესართავთან მდებარე ნავსადგურს პოლონეთისათვის სასიცოცხლო სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ენიჭება. დანციგში რომ სხვა სახელმწიფო დამკვიდრდეს, იგი შესძლებდა, თუ მოისურვებდა, შეეკრა პოლონეთისათვის ზღვის გასავალი და ეკონომიური და სამხედრო მხრივ ჩაეხრჩო პოლონეთი. იმათ, ვისაც პასუხისმგებლობა აწევს თავისუფალი ქალაქის ამჟამად მოქმედი სტატუტისათვის, ეს ძალიან კარგად ესმოდათ და მოიმოქმედეს ყოველივე, რაც კი შესაძლებელი იყო, რათა სტატუტით გაეთვალისწინებინათ ეს გარემოებანი. უფრო მეტი, ლაპარაკიც კი არ შეიძლება დანციგის გერმანელი მოსახლეობის რაიმე ჩაგვრაზე. პირიქით, თავისუფალი ქალაქის მმართველობა გერმანელთა ხელშია, და ამ მხრივ არსებული შეზღუდვანი ისეთი ხასიათისა არ არის, რომ ამ ქალაქის მოქალაქეთა თავისუფლებას ზღუდავდნენ. ახლანდელი მდგომარეობა, თუმცა შეიძლებოდა იგი გაუმჯობესებულიყო, არ შეიძლება თავისთავად განხილულ იქნას, როგორც თავისი საფუძვლით არასამართლიანი და არალოგიკური. 1944 წლამდე სტატუსქვოს შენარჩუნება გარანტირებული იყო თვით გერმანიის კანცლერის მიერ იმ ხელშეკრულების შედეგად, რომელიც დადებულ იქნა პილსუდსკისთან 10 წლის ვადით. ამა წლის მარტამდე გერმანია, ცხადია, თვითონ სთვლიდა, რომ, თუმცა დანციგის სტატუტს საბოლოო ანგარიშით შეიძლება გადასინჯვა დასჭირდეს, ეს საკითხი სასწრაფო ან ისეთი არ არის, რომ სერიოზული კონფლიქტის გამოწვევა შეეძლოს. მაგრამ მარტში, როდესაც გერმანიის მთავრობამ ზოგიერთი სურვილის სახით წამოაყენა წინადადება, რომელსაც თან სდევდა პრესაში გაჩაღებული კამპანია, პოლონეთის მთავრობა მიხვდა, რომ იგი შეიძლება საკითხის ცალმხრივი გადაწყვეტის წინაშე აღმოჩნდეს და რომ მან ამას მთელი თავისი ძალღონით უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა. პოლონეთის მთავრობას თვალწინ ჰქონდა ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და მემელის გამოცდილება. ამის შესაბამისად, მან უარი სთქვა ეცნო გერმანიის თვალსაზრისი და თვითონ გამოვიდა წინადადებით იმ პრობლემების შესაძლო გადაწყვეტის შესახებ, რომლებითაც გერმანია დაინტერესებულია. გარდა ამისა, პოლონეთმა 23 მარტს ზოგიერთი თავდაცვითი ღონისძიება მიიღო. პასუხი ბერლინს 26 მარტს გაეგზავნა.

მე ვთხოვ პალატას ყურადღება მიაქციოს ამ თარიღებს. გერმანიაში გავრცელებულია აზრი, რომ სწორედ ინგლისის მთავრობის გარანტია დაეხმარება პოლონეთის მთავრობას გადაედგა ის ნაბიჯები, რომლებზედაც მე უკვე ვილაპარაკე. მაგრამ ჩვენი გარანტია მხოლოდ 31 მარტს იქნა მიცემული. 26 მარტამდე ამ გარანტიის შესახებ პოლონეთის მთავრობისათვის გადაკვრითაც კი არაფერი გვიცნობებია.

დანციგში უკანასკნელად მომხდარი ამბები აუცილებლად ჰბადებენ შიშს, რომ განზრახვა აქვთ ფარული მეთოდებით მოწყობილი ცალმხრივი მოქმედების საშუალებით დააწესონ დანციგის მომავალი სტატუტი, რათა მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენონ პოლონეთი და სხვა სახელმწიფოები. ასეთ პირობებში ყოველ მოქმედებას, რომელსაც პოლონეთი მიჰმართავდა მდგომარეობის აღსადგენად, ისე გაასაღებდნენ, როგორც მის მხრივ ჩადენილს აგრესიის აქტს. და თუ მის მოქმედებას მხარს დაუჭერდნენ სხვა სახელმწიფოები, მათ ბრალს დასდებდნენ: პოლონეთს ეხმარებით და აქეზებთ ძალას მიმართოსო. ამბების მსვლელობა რომ მართლაც ისეთი იყოს, როგორც ეს ჰიპოტეზები ჰგულისხმობენ, მაშინ პალატის წევრები მიხვდებიან, რომ ეს პრობლემა არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც წმინდა ადგილობრივი საკითხი, რომელიც ეხება მხოლოდ დანციგის მცხოვრებთა უფლებებსა და თავისუფლებას, რასაც, აქვე უნდა ვთქვა, არაფერი არ [illegible] დაუყონებლივ [illegible] სერიოზული [illegible] ნეთის [illegible] სა და დამოუკიდებლობის პრობლემას. ჩვენ ვიკისრეთ გარანტიები — დახმარება აღმოვუჩინოთ პოლონეთს იმ შემთხვევაში, თუ მის დამოუკიდებლობას დაემუქრება აშკარა საფრთხე, — ისეთი საფრთხე, რომლისათვის მთელი თავისი ნაციონალური ძალებით წინააღმდეგობის გაწევას იგი უაღრესად მნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევდა. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი შევასრულოთ ჩვენი ვალდებულებანი.

მე უკვე ვთქვი, რომ ახლანდელი სტატუტის საფუძველი არ შეიძლება ჩაითვალოს არა სამართლიანად ან არალოგიკურად. მაგრამ იგი შეიძლება გაუმჯობესებულ იქნას. შესაძლო გაუმჯობესება უფრო დამშვიდებულ ვითარებაში უნდა განხილულიყო. მართლაც, ბეკმა 5 მაისს განაცხადა: თუ გერმანიას მშვიდობიანი განზრახვა აქვს და თუ იგი პროცედურის მშვიდობიან მეთოდებს აღიარებს, ყოველგვარი მოლაპარაკება შესაძლებელიაო. რაიხსტაგში 28 აპრილს წარმოთქმულ სიტყვაში ჰიტლერმა სთქვა: თუ პოლონეთის მთავრობა მზად არის დასდოს ახალი შეთანხმება, რომელიც მოაწესრიგებს ურთიერთობას გერმანიასთან, შემიძლია ამგვარ შეთანხმებას მივესალმოო. შემდეგ მან დასძინა: მომავალში ყოველგვარი ასეთი შეთანხმება აბსოლუტურად ცხადსა და ორივე მხარისათვის თანაბარ ვალდებულებებს უნდა ეყრდნობოდესო.

ინგლისის მთავრობა ფიქრობს, რომ დანციგში ამ უკანასკნელად მომხდარმა ამბებმა ნდობა დაარღვიეს და გააძნელეს ამჟამად ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომლის დროსაც კეთილგონიერება გაიმარჯვებდა.

ასეთი ვითარების მიუხედავად პოლონეთის მთავრობა გულდამშვიდებულია. ინგლისის მთავრობას იმედი აქვს: დანციგს თავისი ძველი ტრადიციებითურთ კვლავ შეუძლია წინანდებურად დაამტკიცოს, რომ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს ერთად მუშაობა შეუძლიათ, როდესაც მათი რეალური ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ამავე დროს იმედი მაქვს, რომ ყველა დაინტერესებული მხარე განაცხადებს და გამოიჩენს მტკიცე ნებისყოფას არ დაუშვას დანციგთან დაკავშირებულმა რაიმე ინციდენტმა ისეთი ხასიათი მიიღოს, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა მშვიდობიანობას ევროპაში.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი კორესპონდენტის ცნობის მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ცენტრალური ჩინეთის ფრონტზე მცირე ბრძოლები სწარმოებს. ხუბეის პროვინციის ცენტრალურ ნაწილში ჩინეთის ჯარის ნაწილებმა 4 ივლისს იაპონელები ციანძიანთან ახლო მდებარე ორი პუნქტიდან გააძევეს. ბრძოლაში იაპონელებს 300 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს.

სამხრეთ ჩინეთში

გუანდუნის პროვინციის ფრონტზე 4 ივლისს იაპონელებმა სცადეს დესანტის გადასხმა ძეიანის რაიონში (30 კილომეტრზე სვატოუს ჩრდილო-დასავლეთით). დესანტი მოგერიებულ იქნა ჩინეთის თავდაცვის მიერ.

ჩრდილო ჩინეთში

შანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში იაპონელებმა არაერთხელ სცადეს დაეკავებინათ მთაგრეხილები მდინარე ხუანხეს ჩრდილო ნაპირზე.

6 ივლისს იაპონიის ჯარმა, რომლის საერთო რაოდენობაც 10 ათას კაცს შეადგენდა სამ კოლონად მოაწყო დიდი შეტევა ჩინელთა პოზიციების წინააღმდეგ იშისა და ძიანჯოუს სამხრეთ-აღმოსავლეთით. გაიმართა გაფთრებული ბრძოლა, რომელიც არაერთხელ იქცა ხელჩართულ შეტაკებად, ამ ბრძოლის შედეგად იაპონელები მოგერიებულ იქნენ. ბრძოლა გრძელდება.

○

7 ივლისს, ჩინეთის ავიაცია თავს დაესხა იაპონიის სამხედრო ობიექტებს ტაიპინჩენსა და შენკანში (კანტონის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით). ყუმბარებით დანგრეულია იაპონელთა ყაზარმები. მოკლულია 100-ზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი.

გაბრიელ პერის უბედურება შეემთხვა

პარიზი, 10 ივლისი (საკდესი). გუშინ პარიზის გარეუბანში, ავტომობილის კატასტროფის შედეგად, სერიოზულად დაშავდა კომუნისტი — საფრანგეთის პალატის დეპუტატი გაბრიელ პერი.

მოკლე ცნობები

(საკდესის მასალების მიხედვით)

⊙ დანციგიდან იუწყებიან, რომ შიხაუს ნავსაშენის ტერიტორიაზე კვლავ დიდძალი იარაღი და სამხედრო საჭურველი შედის.

⊙ სარაგოსაში, სანტანდერსა და ბილბაოში (ესპანეთი) სერიოზული შეტაკება მოხდა ფალანგისტებსა და მონარქისტებს შორის, არიან მოკლულები და დაჭრილები.

⊙ სანტიაგოში (აშშ, ჩილის დედაქალაქი) დაპატიმრებულია 8 კაცი, რომელთაც ბრალდებათ შეთქმულების მზადება სახალხო ფრონტის მთავრობის წინააღმდეგ. დაპატიმრებულთა შორის 3 ესპანელი ფაშისტია.

⊙ ამასწინათ შტატ არკანზასში (აშშ) ელექტრონის სკამზე დასვეს ორი ახალგაზრდა ზანგი, რომელთაც ბრალდებოდათ „თეთრი ქალის გაუპატიურება". ახალგაზრდების სიკვდილით დასჯამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ამერიკის მუშათა ორგანიზაციებში.

⊙ ნანცაოში (შანხაის სამხრეთით) შექმნილი პოლიციელთა სკოლის 200 კურსანტი აჯანყდა იაპონიის ხელისუფალთა წინააღმდეგ. აჯანყებულები ჩინელ პარტიზანთა მხარეზე გადავიდნენ.

⊙ ბელგიის გლეხთა კავშირმა რძის დაბალი ფასების წინააღმდეგ საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადა. გაფიცვის მონაწილე რძის ჩამბარებელმა გლეხებმა შესწყვიტეს რძის ჩაბარება სარძეო ტრესტების შემსყიდველი პუნქტებისა და ბაზრისათვის.

საბჭოთა ხალხური ხელოვნების გამოფენის გახსნა ლონდონში

ლონდონი, 10 ივლისი (საკდესი). დღეს ლონდონში გაიხსნა საბჭოთა ხალხური ხელოვნების გამოფენა, რომელიც მოწყობილია სსრკავშირთან კულტურული კავშირის ინგლისის საზოგადოების მიერ. დამთვალიერებლის დიდ ყურადღებას იპყრობს უკრაინის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის ხელნაქნარი — ვოლოგდის ბაფთი, თურქმენეთის, სომხეთისა და ყაზახეთის ხალიჩები, ქართული ნაკეთობანი, პალეხის ოსტატების საუცხოო ნამუშევარი და სხვ. დიდ ინტერესს იწვევენ ჩუქჩების მიერ ნაკეთები ძვლის სხვადასხვა მშვენიერი ნივთები, განსაკუთრებით საჭადრაკო მოწყობილობა.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ ინგლისის სამხატვრო, კულტურული და მეცნიერული წრეების წარმომადგენლები.

გამოფენის გახსნისას, სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლონდონში ამხ. მაისკიმ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა მთავრობის უდიდესი მზრუნველობა სსრ კავშირში ნაციონალური კულტურის განვითარების შესახებ.

დ. ყიფშიძე

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

სტალინური წრთობის ახალი ადამიანები

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასრულდა სახელმწიფო გამოცდების ივნისის სესიები. სესიებმა გვიჩვენა, თუ როგორ დღითიდღე უმჯობესდება უმაღლესი სკოლებიდან გამოშვებულ კადრების მომზადების ხარისხი იმ ყოველდღიურ მზრუნველობის შედეგად, რომელსაც ლენინ-სტალინის დიადი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება იჩენენ უმაღლესი განათლებისადმი. სესიებმა გვიჩვენა, თუ როგორი წარმატებები მოიპოვა ჩვენმა ახალგაზრდობამ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლებაში, მოწინავე მეცნიერების მწვერვალების აღებაში. კურსდამთავრებულები გამსჭვალული არიან ერთი აზრით, რომ ღირსეულად დააფასონ პარტიის, კერძოდ ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მზრუნველობა და თავდადებით იმუშაონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა უბანზე.

სახელმწიფო გამოცდების ივნისის სესიებზე დაშვებული იყო 352 კურსდამთავრებული (თეორიული კურსი დაასრულა 955 პირმა, მაგრამ აქედან უმეტესობამ გეგმის მიხედვით მიმდინარე წლის ოქტომბერში უნდა ჩააბაროს გამოცდები). გამოცდებზე გამოცხადდა 348, აქედან ყველა საგამოცდო საგანი ჩააბარა 268 პირმა.

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გამოცდებზე გამოცხადდა 44, აქედან 17-მა მიიღო დიპლომი, დანარჩენმა 27-მა ერთი საგანი (ფიზიკა) ოქტომბერში უნდა ჩააბაროს (უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის დადგენილებით). 17 კურსდამთავრებულიდან 12-მა პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო. ეს ამხანაგებია: ვ. ჯანელიძე, გ. კომლაძე, ა. ელიავა, ბ. მიქანაძე, ვ. სიმონია, ნ. მდინარაძე, ა. ჭრელაშვილი, მ. სულაქველიძე, მ. ხალვაში, ბ. გურგენიძე, და ო. შენგელაია. ასე რომ ფაკულტეტმა ძალიან კარგი შედეგები მოგვცა. უნივერსიტეტის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ ფაკულტეტზე ასე მრავალრიცხოვანი ყოფილიყო გამოსვლა გამოცდებზე და ასე დიდ პროცენტს ჩაებარებინა გამოცდა წარმატებით. მაგალითად, გასული წლის ივნისის სესიების დროს ამ ფაკულტეტზე გამოცდებზე გამოცხადებული 24 კაციდან ხუთმა მიიღო დიპლომი, აქედან ერთმა პირველი ხარისხისა.

ეკონომიურ ფაკულტეტზე 60 კაციდან 50-მა მიიღო დიპლომი, აქედან 10-მა — პირველი ხარისხისა. ესენია: ნ. ბახტაძე, გრ. ბირკაია, ი. მირცხულავა, დ. ჩიქოვანი, დ. ერქომაიშვილი, შიხანაშვილი, ნ. კიკნაველიძე, მ. კაპანელი, ა. ქაბუკიანი და ვ. ბურჭულაძე.

ისტორიის ფაკულტეტზე გამოცდები ჩააბარა 32-მა, აქედან პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო: გრ. პაპავამ, ა. სურგულაძემ, მ. პაჭკორიამ, გ. საყვარელიძემ, ე. ხუნდაძემ და ა. ჯავახიშვილმა.

ფილოლოგიის ფაკულტეტი დაასრულა 58 პირმა. აქედან პირველი ხარისხის დიპლომი მიიღეს: მ. კალანდიამ, თ. შარაშენიძემ, დ. ფანჩულიძემ, გ. თარგამაძემ, ბ. ფოჩხუამ, თ. ფერაძემ, ქ. მიქელაძემ, ს. ლომთაძემ, რ. გაგუამ, ი. უვანიამ და დ. ლაშქარაძემ.

კარგი შედეგებია გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. 83 ამხანაგი იყო დაშვებული გამოცდებზე, ყველამ ჩააბარა გამოცდები, ყველამ მიიღო დიპლომი. ამათგან 11 პირველი ხარისხისა. ესენია: ა. ასლანიშვილი, ე. ბოცვაძე, გ. გოცირიძე, მ. დომოზელი, მ. ბახტაძე, მ. ნაკაიძე, ა. სალუქვაძე, ნ. უკლება, გ. არეშიძე და გ. ბასილიძე. ამ ფაკულტეტზეც სახელმწიფო გამოცდების ასეთი შედეგები არასდროს არ ყოფილა. შარშან ივნისში 34 ამხანაგი იყო დაშვებული გამოცდებზე, 17-მა მიიღო დიპლომი, აქედან პირველი ხარისხისა არცერთს არ მიუღია.

ქიმიის ფაკულტეტი დაასრულა 25-მა, აქედან მხოლოდ ნინა გაჩავამ მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი.

ყველაზე ცუდი შედეგები მოგვცა ბიოლოგიის ფაკულტეტმა. გამოცდებზე გამოცხადდა 18. აქედან 3-მა მიიღო მეორე ხარისხის დიპლომი. დანარჩენებმა ბოლომდე ვერ მიიყვანეს გამოცდები ან ცუდი ნიშნები მიიღეს (ორმა მიიღო ცუდი ნიშანი).

იურიდიულ ფაკულტეტზე ივნისში სახელმწიფო გამოცდები არ ჩატარებულა.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო გამოცდებმა უკეთესი შედეგი მოგვცა გასულ წლებთან შედარებით როგორც გამოცდებზე გამოსულთა რაოდენობით, ისე გამოშვების ხარისხის მხრივ. მაგალითად, გასული წლის ივნისში 100 სტუდენტმა ჩააბარა გამოცდა, წელს კი — 268. გაიზარდა წარჩინებული დიპლომის მქონეთა რიცხვი. საგამოცდო კომისიის ყველა თავმჯდომარე (აკად. ნ. მუსხელიშვილი. აკად. ი. ბერიტაშვილი, პროფესორები გ. ხაჭაპურიძე, ნ. ქოიავა, შ. ზანდუკელი, ა. ჯანელიძე, ი. მოსეშვილი) აცხადებს, რომ სტუდენტთა მომზადება გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე ოდესმე, მაგრამ, მიუხედავად მიღწევებისა, ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი ნაკლი, რაც დროულად უნდა აღმოვფხვრათ. ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ, რომ იმ სტუდენტთაგან, რომელნიც თეორიულ კურსს ასრულებენ, ყველა უნაკლოდ გამოვიდეს სახელმწიფო გამოცდებზე. წარჩინებულთა რიცხვი ჯერ კიდევ მცირეა. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა საკმაო რაოდენობამ, რომელიც სახელმწიფო გამოცდებზე გამოცხადდა როგორც ფრიადოსანი, ვერ გაამართლა ფრიადოსნობა, გამოცდებზე უფრო ნაკლები შეფასება მიიღო, ვიდრე ჰქონდა უნივერსიტეტში მეცადინეობის დროს. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გაშლილი ბრძოლა ლიბერალობის წინააღმდეგ სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში.

ამ ნაკლთა აღმოფხვრას ჯეროვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ. ამ ნაკლს ვერ აღმოვფხვრით, თუ, ბოლოს და ბოლოს, ყველა კათედრა არ ჩაუდგება სათავეში სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის საქმეს, კერძოდ სახელმწიფო გამოცდებისათვის მზადების საქმეს. მაგალითად ავიღოთ ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების მუშაობა. ამ ფაკულტეტის უკანასკნელ კურსზე წელს 10 სტუდენტი იყო. გეგმით მათ სახელმწიფო გამოცდა უნდა ჩაებარებინათ ოქტომბერში, თუმცა თეორიული კურსი მაისში დაუსრულდათ, მაგრამ სტუდენტებმა აიღეს ვალდებულება ვადაზე ადრე, ივნისში ჩაებარებინათ გამოცდები. ათივე გამოვიდა სახელმწიფო გამოცდებზე, ათივემ ჩააბარა და მათგან 7-მა პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო. ეს მიღწეულია იმით, რომ კავკასიურ ენათა კათედრის გამგემ პროფ. არნ. ჩიქობავამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა ამ სტუდენტებთან. არ დარჩენილა არცერთი, თუნდ წვრილმანი, საკითხი ამ სტუდენტთა მუშაობაში, რომ კათედრის გამგეს მხედველობიდან გამორჩენოდა. ამიტომ მივიღეთ ასე ბრწყინვალე შედეგი სახელმწიფო გამოცდების დროს კავკასიურ ენათა სპეციალობაზე.

ასევე შეიძლება ითქვას გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე (კათედრის გამგეები: პროფესორები ა. თვალჭრელიძე, ა. ჯანელიძე, ა. ჯავახიშვილი, ბ. ყავრიშვილი და სხვ.).

სამწუხაროდ, ასევე არ ითქმის ბიოლოგიის ფაკულტეტისა და ქიმიის ფაკულტეტის კათედრების შესახებ, რომელთაც მხედველობიდან გამორჩათ ეს დიდი საქმე. ამიტომ შედეგებიც ძალიან ცუდი მივიღეთ.

იჭვი არ არის, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ყოველგვარ ღონეს იხმარს, რომ უფრო ხარისხიანად ჩაატაროს მიმდინარე წლის ოქტომბრის სესიები, რათა უკეთ მომზადებული კადრები მივცეთ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

საუდის არაბეთი

(ნარკვევი)

საუდის არაბეთის მეფის იბნ-საუდის წარმომადგენლის ჰალიდ ალ-ხუდის გერმანიასა და იტალიაში გამგზავრების გამო საუდის არაბეთმა ევროპის პრესის დიდი ყურადღება მიიპყრო.

საუდის არაბეთს ვეებერთელა ტერიტორია უკავია არაბეთის ნახევარკუნძულზე, მისი ფართობი 1 მილიონ კვადრატულ კილომეტრს აღემატება. ჩრდილოეთით იგი ესაზღვრება ინგლისის საქვემანდატო სამფლობელო — ტრანსიორდანიას, ინგლისზე დამოკიდებულ ერაყს და პატარა საემიროს — კუვეიტს. დასავლეთით მას აკრავს მეწამული ზღვა, ხოლო აღმოსავლეთით სპარსეთის ყურე. სამხრეთით იგი იემენს და დაჰნის დიდ უდაბნოს ესაზღვრება.

1902 წელს ახლანდელმა მეფემ იბნ-საუდმა ადგილობრივი მმართველი ჩამოაგდო რიადში და თავისი ძალა-უფლება განავრცო ნეჯდის სამხრეთ ნაწილზე. იბნ-საუდმა არაბეთის ნახევარკუნძულის სხვა ტერიტორიების თანდათანობითი დამორჩილებით მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი სამფლობელო. 1932 წელს მის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიებს მიეკუთვნა ოფიციალური სახელწოდება „საუდის არაბეთის სამეფო".

მოსახლეობის საერთო რაოდენობა 3 მილიონ კაცს აღემატება. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მომთაბარეობას ეწევა და აქლემის, ცხენისა და ცხვრის მოშენებას მისდევს. ოაზისებში მოჰყავთ მარცვლეული კულტურები: ხორბალი, ფეტვი, დურო, ქერი და შვრია. ძალიან არის განვითარებული აგრეთვე მებაღეობა.

ექსპორტის მთავარი საგნებია: მატყლი, ტყავი, ზეთი, ინდის ხურმა და პირუტყვი. საუდის არაბეთში შეაქვთ ჩაი, შაქარი, საფეიქრო ნაწარმი და ნავთი. ამ ქვეყანას მრეწველობა არ მოეპოება, აქვს მხოლოდ კუსტარული სახელოსნოები. საუდის არაბეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ალ-ჰასის პროვინციაში აღმოჩნდა ნავთის დიდი ბუდობები, რაც 1933 წელს საკონცესიოდ გადაეცა ამერიკის ნავთის კომპანიას „კალიფორნია არაბიან სტანდარტ ოილ კომპანის" („სტანდარტ ოილ კომპანის" ფილიალური საწარმო).

საუდის არაბეთში რკინიგზები არ არის.

საუდის არაბეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქებია: რიადი (დედაქალაქი) 30 ათასი მცხოვრებით, ნავსადგური ჯედა (მეწამულ ზღვაზე) 30 ათასი მცხოვრებით, ხოფუფი (ალჰასში) 30 ათასი მცხოვრებით, მუსლიმანთა „წმინდა" ქალაქები — მექა 80 ათასი და მედინა 20 ათასი მცხოვრებით.

საუდის არაბეთს თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. იგი ზურგს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში ინგლისისა და საფრანგეთის სამფლობელოთათვის. მეწამული ზღვის სანაპიროზე შეიძლება შეიქმნას ბაზები წყალქვეშა და წყალზედა ფლოტისათვის. საუდის არაბეთის ტერიტორიაზე საჰაერო ბაზების აგება შესაძლებლობას მისცემს თვითმფრინავებს მოაწყონ თავდასხმა აზიასა და აფრიკაზე სხვადასხვა მიმართულებით.

ამიტომ საუდის არაბეთი ფაშისტური „ღერძის" აგრესიულ ზრახვებში მცირემნიშვნელოვან როლს როდი ასრულებს.

როგორც ამერიკული ჟურნალი „ეიშა" სწერს, გერმანიის გენერალურ შტაბს კარგად აქვს გათვალისწინებული, რომ ახლო აღმოსავლეთი (მათ შორის საუდის არაბეთიც) იდეალურ პლაცდარმს წარმოადგენს. ეს პლაცდარმი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმისათვის, რომ ინგლისსა და საფრანგეთს ევროპიდან აზიაში გადააყვანინონ ჯარები და ამით დააუძლურონ ისინი. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

Хай живе Сталінська дружба народів!

უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი, შევჩენკოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მ. მ. კრუშელნიცკი

შევჩენკოს თეატრის მსახიობი ვ. ნ. ჩისტიაკოვა გალიას როლში („ნაზარ სტოდოლია“).

ჩვენი მხურვალე მადლობა თბილისის მაყურებელს

სოციალისტური კულტურის მწვერვალებზე ადიან ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მშრომელ ხალხთა მრავალმილიონიანი მასები. დარაზმულნი მხურვალე საერთო სიყვარულის გრძნობით ჩვენი უძლეველი კომუნისტური პარტიისადმი, საყვარელი ბელადის და გენიალური მასწავლებლის — ამხანაგ სტალინისადმი. გაერთიანებულნი ძმური მეგობრობით, სსრ კავშირის ხალხები ლენინ-სტალინის დიადი იდეებისათვის ბრძოლაში ჰქმნიან ბედნიერ, საამურ ცხოვრებას, თავის ფორმით ნაციონალურს, შინაარსით სოციალისტურ კულტურას. ამ კულტურათა გამოცდილების გაზიარება და მათი ურთიერთგანაყოფიერება გვეხმარება ჩვენ საბჭოთა ხელოვნების კიდევ უფრო მაღალ მწვერვალზე აყვანაში. იგი გვასწავლის ჩვენ კიდევ უფრო მეტად გვიყვარდეს ხალხი და ვისწავლოთ ხალხისაგან.

პარტია, აყვავებული უკრაინის მთავრობა დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლის ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით ყოველგვარ პირობას ჰქმნიან თავისუფალი უკრაინელი ხალხის კულტურის აყვავებისათვის.

ის დიდი წარმატება, რომელიც ჩვენმა თეატრმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის დედაქალაქ — მოსკოვში და აქ, ორდენოსანი მზიური საქართველოს დედაქალაქ — თბილისში, მოძმე ქართველი ხალხის მხურვალე, მეგობრული შეხვედრა, — ყველაფერი ეს უპირველეს ყოვლისა არის წარმატება და გამარჯვება სახელოვანი კომუნისტური პარტიისა, რომელმაც აღგვზარდა ჩვენ. ჩვენი გული აღსავსეა უწმინდესი, უმხურვალესი მადლობით ბოლშევიკური პარტიისადმი, იმ დიდი შემოქმედებითი სიხარულისათვის, რომელსაც განვიცდით ჩვენ ყოველი სპექტაკლის დროს თბილისში.

თეატრმა თბილისში იპოვა შესანიშნავი კულტურული მაყურებელი, რომელიც განსაკუთრებული გულთბილობითა და სიყვარულით ეპყრობა ჩვენს სპექტაკლებს. თეატრის დარბაზში არ იგრძნობა უკრაინული ენის უცოდინარობა. ჩვენ აქ ისე ვგრძნობთ თავს, როგორც საკუთარ სახლში—ხარკოვში, ჩვენ ვგრძნობთ თავს როგორც ჩვენს სამშობლოში, რადგან შ. რუსთაველის სამშობლო, დიდი სტალინის სამშობლო ჩვენი საყვარელი სამშობლოა. ვგრძნობთ, როგორ ჰქმნის საერთო ბოლშევიკური იდეა ნამდვილ ინტერნაციონალიზმს; ვგრძნობთ, რომ ჩვენმა თეატრმა გამოსძებნა ინტერნაციონალური სცენიური ენა, რომელიც ერთგვარად გასაგებია როგორც უკრაინელი ისე ქართველი მაყურებლისათვის.

ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის ამ შესანიშნავ, კულტურულ მაყურებელს ვუძღვნით პირველ რიგში ჩვენს გულითად, მხურვალე მადლობას.

მთელი გულით ვუთვლით ჩვენს გულწრფელ მადლობას მზიური ორდენოსანი საქართველოს კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას გულთბილი მიღებისა, მამობრივი ზრუნვისა და დახმარებისათვის უკრაინისა და საქართველოს მოძმე ხალხთა კულტურების ურთიერთგაზიარების დიად საქმეში.

ძმურ მადლობას ვუძღვნით საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობას ჩვენი კოლექტივის შეხვედრისათვის.

კმაყოფილი ვბრუნდებით ჩვენს მშობლიურ უკრაინაში, რომ ვუპატაკოთ პარტიას, მთავრობას, ხარკოვის საზოგადოებრიობას ჩვენი გასტროლების წარმატებათა შესახებ. ჩვენი მუშაობის მაღალი შეფასება მოსკოვსა და თბილისში გვაფრთოვანებს შემდგომი აღმავლობისათვის საბრძოლველად. ჩვენ გვჯერა ჩვენი შემოქმედებითი მომავლისა, რადგანაც ვდგევართ კაცობრიობის იმ საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში, რომელთა მატარებელია ჩვენი უძლეველი პარტია ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მეთაურობით.

მ. მ. კრუშელნიცკი

უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი, შევჩენკოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

შევჩენკოს თეატრის მსახიობი ლ. სერდიუკი.

სიამაყის გრძნობით მივდივართ

საბჭოთა ინტელიგენტის უდიდესი ბედნიერება მდგომარეობს იმ შეგნებაში, რომ მისი შრომა, ცოდნა და ნიჭი ხმარდება ხალხის კეთილდღეობას, ეს იწვევს მასში სიამაყის გრძნობას.

ჩვენ — საბჭოთა თეატრის მუშაკები — სიამაყის ამ გრძნობას ყველაზე ხშირად განვიცდით.

ჩვენმა საგასტროლო სპექტაკლებმა თბილისში, მაყურებლისა და პრესის მიერ მათმა შეფასებამ განამტკიცა ჩვენში სიხარულისა და სიამაყის გრძნობა.

აი, ამ გრძნობისათვის, რომლითაც მივდივართ თბილისიდან, მე მსურს მშრომელებს, რომლებმაც ჩვენი სპექტაკლები ნახეს, ყველა გაზეთებს, რომლებმაც ჩვენი ნაშრომის შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს, — შევჩენკოს თეატრის კოლექტივის სახელით ვუძღვნა გულწრფელი, ძმური მადლობა.

ლ. სერდიუკი

მალე ნახვამდის!

შევჩენკოს სახელობის ხარკოველი თეატრი ერთი თვალსაჩინო თეატრთაგანია, არა თუ უკრაინაში, არამედ მთელს კავშირშიაც.

ამ თეატრს აქვს უკვე თავისი სახე, თავისი გზა შემოქმედებისა, თავისი ხერხი და უნარი და ჰყავს კიდეც მაღალ ნიჭიერი ოსტატები, რომელთაც დიდის დაკვირვებითა და საქმის ცოდნით აღმავლობისაკენ მიჰყავთ თავიანთი თეატრი.

რეპერტუარი კი ამ თეატრისა თითქო ჭრელია: აქ არის მელოდრამაც, ჰეროიკაც, ევროპული, ფსიქოლოგიური, კამერული პიესაც და სოციალისტური ქრონიკაც.

მაშ აქ სად არის ერთი გზა და ერთი სახეო — შეიძლება გავიფიქროთ, მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ეს ნაირფეროვნება რეპერტუარისა, ეს მხოლოდ თეატრის მხატვრულ საშუალებათა, საღებავთა სიუხვის გამომაშკარავებელია, სიმდიდრეა მათი ოსტატობისა.

სახე და გზა კი თანადროულია და ზედმიწევნითი: სოციალისტური რეალიზმისა.

ზოგი მოუცლელობისა და ზოგიც, ამ ბოლო ხანებში, ავადმყოფობის გამო, ვერ დავესწარ ამ საუცხოო თეატრის წარმოდგენებს რუსთაველის თეატრში, მაგრამ ვიცი, რომ ა. კორნეიჩუკის „ბოგდან ხმელნიცკი“ მზესავით დაჰკაშკაშებს საერთოდ წრევანდელი სეზონის სპექტაკლებს მთელს კავშირში.

მე ეს წარმოდგენა კიევშიაც ვნახე და მოსკოვშიაც, სწორედ ზემოხსენებულ დასის მიერ შესრულებული.

ამ წარმოდგენიდანაც შეგვიძლიათ დავასკვნათ: ვის დასსაც ამხ. კრუშელნიცკი, მარიანენკო, სერდიუკი, ანტონოვიჩი, ჩისტიაკოვა, ფედორცევა და სხვ. ამშვენებენ, ის დასი უთუოდ ღონიერია და მაღალმხატვრული.

ვიცი, რომ ქართველი საზოგადოება დიდი გულმხურვალებით ესწრება მათ საუცხოო წარმოდგენებს. ვიცი, რომ ამ გასტროლებითაც ერთხელ კიდევ მტკიცდება ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა და ამ ფერხულში მეც ბედნიერი ვარ, რადგანაც შევესწარ ისეთ დიად ხანას, როდესაც მარტო ქაღალდზე კი არ უმღერიან და ისიც გაუბედავად, როგორც ძველად, ჩემს დროს იყო, ხალხთა ძმობასა და სიყვარულს, არამედ თვით ცხოვრებაში ფაქტად დგება ჩვენს წინაშე დაძმობილება კოლმეურნეთა, მეტალურგთა, მეცნიერთა და ხელოვანთა, გაშლა და გაქანება მათი სოცშეჯიბრებისა ყველა რესპუბლიკასა და, მათ შორის, პირველ ადგილზე დიდებულ უკრაინასთან.

ჩვენ წელს თითქოს ადგილები შევუცვალეთ ჩვენ დასებს: რუსთაველისანნი იქ გავგზავნეთ, შევჩენკოსანნი აქ მოვიწვიეთ.

სამწუხაროდ, თქვენი სტუმრობა არ გაახანგრძლივეთ. გული გვწყდება, მაგრამ მაინც არ გემშვიდობებით. გეუბნებით „მალე ნახვამდის!“.

მანამდის კი თქვენი გამარჯვებისა იყოს!

შალვა დადიანი

ორდენოსანი დრამატურგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

შესანიშნავი კოლექტივი

შევჩენკოს სახელობის უკრაინული თეატრის თვითეულ დადგმაში ცხადად გამოსჭვივის უდიდესი შემოქმედებითი აღტყინება, მაღალი მხატვრული ალღო და ნათელი რეალისტური თვალი. ამ თეატრის ნიჭიერმა კოლექტივმა ჩვენ მოგვხიბლა სწორედ ამ თვისებებით. რომელი დადგმაც უნდა აიღოთ, იგი ზედმიწევნით კოლორიტულია. შეიძლება თბილისელი მაყურებელი უკრაინაში არც კი ყოფილიყოს, მაგრამ საკმარისია ნახოს ამ თეატრის ერთი წარმოდგენა და იგი გრძნობს უკრაინას, იგი სჭვრეტს უკრაინელი დიდი ხალხის ხასიათსა და სულს. სწორედ საქებური, სამაგალითო და ჩვენი დიადი ეპოქის შესატყვისია ამ მშვენიერი თეატრის გმირული სტილი და ჯანსაღი რომანტიკა! რომელ დადგმას აიღებთ: „ნაზარ სტოდოლიას“, „სიმართლეს“, „გული მიუშვი ნებას“ თუ „ბოგდან ხმელნიცკის“, ყველგან მოსჩანს განსაკუთრებული პატივისცემა და თავაზიანი მოპყრობა იმ ლიტერატურული მასალისადმი, რომელიც დრამატურგმა შეთხზა და აკინძა. ასეთი თეატრის პატრონს — მოძმე უკრაინელ ხალხს, ჭეშმარიტად შეუძლია იამაყოს!

შევჩენკოს სახელობის თეატრის გასტროლები უთუოდ დიდი კულტურული მოვლენაა ქართული ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის! უკრაინული თეატრის გამოცდილებას გაითვალისწინებს თავის მომავალ შემოქმედებით მუშაობაში თეატრალური საქართველო!

ეს თეატრი ღირსეულად ატარებს თავისი მშობლიური დიდი შემოქმედის და რევოლუციონერ-დემოკრატის ტარას შევჩენკოს სახელს.

ორდენოსანი დრამატურგი
სანდრო შანშიაშვილი
პ. კაკაბაძე, ხ. მთვარაძე

დიდი კულტურის თეატრი

შევჩენკოს სახელობის თეატრის საგასტროლო სპექტაკლებიდან განსაკუთრებული სიამოვნება „ბოგდან ხმელნიცკიმ“ განმაცდევინა.

უკრაინის ხალხის მდიდარი წარსული უნაკლოდ არის აღდგენილი მასში. ეს დადგმა მოგვიწოდებს შემოქმედების ახალი, სრულყოფილი სახეების ძიებისაკენ, დამდგმელის მუშაობა, აქტიორთა შესანიშნავი თამაში, მშვენიერი მუსიკა და მხატვრობა თანახმოვნად ატყვევებენ მაყურებელს, უნერგავენ მას პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის მაღალ გრძნობას. ეს დადგმა მოგვიწოდებს იმისაკენ, რომ ასევე გაბედული ნაბიჯი გადადგან ჩვენმა თეატრებმა ისტორიული რეპერტუარის შესაქმნელად იმ მასალაზე, რომელიც უხვად არის მოცემული ჩვენი ხალხის ისტორიაში.

შ. ღამბაშიძე

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მარჯანიშვილის სახ. თეატრის დირექტორი.



ა. კორნეიჩუკის „ბოგდან ხმელნიცკის“ სცენა (I მოქმ. II სურათი).

ხარკოვის შევჩენკოს სახელობის უკრაინული დრამის თეატრის შემოქმედებითი ძალები. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): ზედა რიგში — მსახიობები: ე. მ. ბინუსი, ე. ა. პეტროვა, ს. ვ. ფედორცევა, ა. ლ. ხვილია; ქვედა რიგში—დ. ი. ანტონოვიჩი, ნ. გ. ლიხო, ლ. ა. კრინიცკაია, დ. დ. პონომარენკო

მხატვრის ოსტატობა

უკრაინის შევჩენკოს სახელობის თეატრის გასტროლებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

თეატრის მაღალხარისხოვანი დადგმები ბევრ ახალ აზრებს ბადებს როგორც სპექტაკლის მოქმედების გაშლაში, აქტიორის ოსტატობაში, ისე მხატვრული გაფორმების საქმეშიც. ყველა სპექტაკლის გაფორმებაში გამოსჭვივის ეს მთლიანობა, რეჟისორის, აქტიორის და მხატვრის ერთი მხატვრული პრინციპი.

ამ შემოქმედებითი მთლიანობით განსაკუთრებით აღსანიშნავია სპექტაკლი „ბოგდან ხმელნიცკი“. ეს საუცხოო სტილითა და გემოვნებით გაფორმებული სპექტაკლია (მხატვარი მელლერი). როდესაც ამ სპექტაკლს უყურებ, ხედავ თუ რა დიდი ოსტატობა ახლავს თან მხატვრის შემოქმედებას. სპექტაკლი ეპოქის დიდი ცოდნითა და დაკვირვებით არის გაფორმებული.

პროფ. **დავით კაკაბაძე**

თანხმოვანი სპექტაკლები

სიხარულისა და სიამაყის გრძნობა გიპყრობს, როცა ხედავ მოძმე რესპუბლიკის თეატრალური კულტურის აყვავებას.

ჩემში, როგორც კომპოზიტორში, განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევს უკრაინულ სპექტაკლების მუსიკალური ქარგა. მათში მუსიკა ორგანიულად შეთანხმებულია სცენიურ მოქმედებასთან, ეხმარება მაყურებელს რთული ხასიათების გახსნაში, სცენიური სახეების გარკვევაში. განსაკუთრებით ეს ითქმის „ბოგდან ხმელნიცკის“ მუსიკაზე, რომელიც კომპოზიტორ ბ. კრიჟანოვსკის ეკუთვნის. „ნაზარ სტოდოლიასა“ და „გული მიუშვი ნებასას“ მუსიკაში სავსედ არის მოცემული უკრაინული ხალხური მელოდიები. ამ მხრივ მოძმე რესპუბლიკის შესანიშნავმა თეატრმა გვიჩვენა, თუ რა დაუშრეტელია ხალხური შემოქმედების წყარო, რომლითაც კომპოზიტორი თეატრში უნდა სარგებლობდეს.

კომპოზ. **ივ. გოკიელი**

სოციალისტური ხელოვნებისათვის

ძნელია რამდენიმე სიტყვაში თავი მოუყარო ყველა იმ მრავალფეროვან შთაბეჭდილებას, რომლებიც ჩვენ მიგვაქვს საქართველოდან!

საკმარისი არ იქნება ვთქვათ, რომ ჩვენი თეატრის გასტროლები თბილისში — ეს არის დიდი და სასიხარულო მოვლენა კოლექტივის ყოველი წევრისათვის. თბილისელ მაყურებელთან მჭიდრო კავშირმა შეგვმატა ახალი შემოქმედებითი ძალები. ახლა ჩვენ კიდევ უფრო მეტი გულწრფელობითა და აღტაცებით უნდა ვიმუშაოთ ხელოვნებაში, კიდევ უფრო მეტი მკვეთრი ფერადებით ავსახოთ ხელოვნებაში ჩვენი ბედნიერი, საამური ცხოვრება.

თბილისთან გამოთხოვებისას მე მსურს ხაზი გავუსვა იმ გულთბილ და ძლიერ მეგობრობას საქართველოსა და უკრაინის ხელოვნების მუშაკთა შორის, რომელიც ღაღადებს ჩვენი ქვეყნის სიძლიერესა და მის ხალხთა ერთიანობაზე.

ჩვენი სამშობლო მთელ რიგ ვალდებულებებს გვიყენებს. იგი ელის თავის მხატვრებისაგან ნიჭიერ, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიაც ასახული იქნება ჩვენი შესანიშნავი ეპოქის საქმენი და დიადი იდეები.

საქართველოდან წასვლის წინ მსურს ერთხელ კიდევ გადავუხადო გულწრფელი მადლობა თბილისის საზოგადოებას მხურვალე მიღებისათვის და ვუთხრა: სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ დაუღალავად ვიმუშავებ და ვიბრძოლებ მაღალი, იდეური, სოციალისტური ხელოვნებისათვის!

ვ. ჩისტიაკოვა

უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ი. ა. მარიანენკო

შემოქმედების ურთიერთგაზიარებისათვის

ჩვენი თეატრი ამთავრებს გასტროლებს თბილისში და უდიდესი მორალური კმაყოფილების გრძნობით მიემგზავრება საქართველოდან. საბჭოთა საზოგადოებრივობისა და მასობრივი მაყურებლის დამოკიდებულება ჩვენი თეატრისადმი ადასტურებს იმ შემოქმედებითი გზის სისწორეს, რომელსაც შევჩენკოს თეატრი დაადგა უკანასკნელ წლებში. თბილისელთა მხურვალე მიღება ახალ ძალებს გვმატებს იმისათვის, რომ გავაძლიეროთ ბრძოლა მაღალი ბოლშევიკური ხელოვნებისათვის, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნებისათვის.

ჩვენი მხურვალე სურვილია, რომ უკრაინისა და მოძმე საქართველოს თეატრების შემოქმედებითი მიღწევების ურთიერთგაზიარებამ სისტემატური ხასიათი მიიღოს.

ი. ა. მარიანენკო

უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი.

უკრაინული და ქართული თეატრების ურთიერთობის წარსულიდან

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მაკო საფაროვ-აბაშიძემ საქ. სახელმწიფო სათეატრო მუზეუმს გადასცა უკრაინის თეატრის დამაარსებლის მარკოზ ლუკას-ძე კროპივნიცკის მოზრდილი ფოტო-სურათი, რომელსაც უკრაინულ ენაზე აქვს წარწერა და ნიშნავს: „მარიამ მიხეილის-ასულს საფაროვს, მარკოზ ლუკას-ძე კროპივნიცკის სურათი. ღმერთმა მოგცეთ ძალღონე და ჯანმრთელობა, რათა რაც შეიძლება ხანგრძლივ ამშვენებდეთ სამშობლო დრამის ნაწარმოებთ და ხელს უწყობდეთ მშობელი ქვეყნის საზოგადოების განვითარებას. ქ. თბილისი, 6 იანვარი 1891 წ.“.

○

ჩვენი სცენის მხცოვანმა მოღვაწემ ქართული და უკრაინული თეატრების მუშაკთა ურთიერთობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— ძნელია ახლა აღვადგინო მეხსიერებაში ის, რაც ამ 48 წლის წინათ მოხდა. კერძოდ არ მაგონდება რა პირობებში და რის გამო მომიძღვნა კროპივნიცკიმ თავისი სურათი. მახსოვს მხოლოდ ის, რომ მისი დასი მაშინ საგასტროლოდ თბილისში იყო. ისინი აქ ხანგრძლივ დარჩნენ. ალბათ მან ჩემს როლებში მნახა და მოვეწონე.

მაშინდელი უკრაინისათვის კროპივნიცკი დიდი ადამიანი იყო. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ ყველა თავისიანი მას „ბატკოს“ უწოდებდა.

პირველი დღიდანვე ქართველ და უკრაინელ მსახიობთა შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ორივენი კარგად ვგრძნობდით, რომ იმ ერების შვილები ვიყავით, რომელნიც ერთ „პოლიტიკურ ტაფაში“ იწოდნენ და საერთო მტრის — თვითმპყრობელი მეფის ქუსლქვეშ გმინავდნენ. ეს გარემოება უთუოდ გვაახლოვებდა. ამას გარდა, უკრაინელები ქართველებს ბევრ რამეში გვგავნან. ყოველივე ამან საერთო ენა მოგვაძებნინა, და ჩვენ შორის ამხანაგური კავშირი სწრაფად დამყარდა. ერთ თეატრში ვთამაშობდით — მაშინდელს თავად-აზნაურობის თეატრში. ერთმანეთთან არა მარტო წარმოდგენებზე, რეპეტიციებზეც კი დავდიოდით. რამდენად გულწრფელი და გულითადი იყო ჩვენი ურთიერთობა, ამას შემდეგი ეპიზოდიც დაადასტურებს: ჩემს ამპლუას მათს დასში საკმაოდ ნიჭიერი მსახიობი ზარნიცკაია ასრულებდა. მას ჰქონდა კარგი ხმა და ჩინებული მოცეკვავეც იყო. მე და ის ძალიან დავახლოვდით. რეპეტიციების დროს მას ხუმრობით ხშირად ვბაძავდი და ზოგიერთ მის სასიმღერო თუ საცეკვაო ნომერს მის თვალისწინვე ვასრულებდი. ერთხელ რეპეტიციაზე გადამეკიდა—ჩემი გასვლის დრო რომ მოვა, ჩემს მაგიერ სცენაზე შენ გადიო, ნახე ჩვენებზე რა ეფექტს მოახდენსო. მართლაც ასე ვქენი — სცენაზე ცეკვა-სიმღერით გაველი. ახლაც მახსოვს სიმღერის სიტყვები — „იაკ ხოდილა დოვიჩინა ბერეჟკომ“. ეფექტი მართლაც ძლიერი გამოვიდა... მთელი დასი შემომეხვია ყიჟილით და ტაშისცემით.

ჩვენსა და უკრაინულ თეატრებს შორის დიდი განსხვავება იყო, თუმცა ორივენი შემოქმედების რეალისტურ გზით ვიდოდნენ. განსხვავება უმთავრესად რეპერტუარში იყო: ჩვენი თეატრი რუსული თეატრის გავლენას განიცდიდა. უკრაინულ თეატრს კი ეს გავლენა არ ეტყობოდა და საკუთარი ბილიკებით იკაფავდა შემოქმედების გზას. ის ნამდვილი ხალხური თეატრი იყო. გარდა ორიგინალური პიესებისა, ჩვენს სცენაზე იდგმებოდა რუსულიდან გადმოკეთებული და თარგმნილი პიესები, ამას გარდა ჩვენ ევროპის კლასიკოსებსაც ხშირად ვდგამდით. უკრაინის თეატრი კი ამას გაურბოდა. იქ მხოლოდ ორიგინალურ პიესებს თამაშობდნენ, რომლებიც უკრაინის ხალხის ყოფაცხოვრებას ასახავდა. უნდა აღინიშნოს რომ ეს პიესები შინაარსით ძლიერ მარტივნი იყვნენ. სწორედ ყოველივე ამის გამო უკრაინული თეატრი ხალხთან ახლო იდგა. კროპივნიცკიზე, როგორც მსახიობზე, ვერაფერს ვიტყვი, რადგან მისი თამაში ახლა აღარ მახსოვს. სამაგიეროდ, მეხსიერებაში აღმოუფხვრელად ჩამრჩა ორი შესანიშნავი არტისტი. ისინი იყვნენ ზანკოვეცკაია და სუხოდოლსკი. ზანკოვეცკაია ჩემის აზრით პირდაპირ სწორუპოვარი მსახიობი იყო. იმისთანა ძლიერი დრამატიული არტისტი ქალი თითქმის არც კი მინახავს. ახლაც მახსოვს ერთი მისი სცენა საკმაოდ სუსტ პიესაში — „ოი, ნე ხოდი, გრიციუ ტა ნა ვეჩერნიცი“. როცა ის ერთსა და იმავე დროს ნერვიულად იცინოდა და ხმის თრთოლვით ნამდვილი ცრემლებით ტიროდა, მაყურებელს ჟრუანტელს ჰგვრიდა. ეს ის ზანკოვეცკაია არის, რომლის გადაბირება რუსულ სცენაზე სუვორინს უნდოდა. აქ მას მთელი რუსეთის მასშტაბით დიდი სახელი და დიდება მოელოდა, მაგრამ მან სუვორინის წინადადება უარჰყო და ახლად ფეხადგმულ მშობლიურ სცენაზე დარჩენა ამჯობინა.

შეუდარებელი არტისტი იყო აგრეთვე სუხოდოლსკი. იგი თანაბრად ძლიერი იყო დრამაშიცა და კომედიაშიც. დღეს რომ თავის თამაშით დრამაში აგაცრემლებდათ, ხვალ კომედიაში იმდენს გაცინებდათ, რომ ისევ ცრემლებს დაგაფრქვევინებდათ („ჰოი ნე ხოდი გრიციუ“ და „კუმ მიროშნიკში“).

მე საერთოდ არაქართული დასების წარმოდგენებზე იშვიათად დავდიოდი, ხოლო პიესებს, რომელნიც ქართულადაც უნდა დადგმულიყო და შიგ მე უნდა მეთამაშნა, პირდაპირ გავურბოდი. ბავშვობიდანვე მიმბაძველობის ნიჭი მქონდა და მეშინოდა, რომელიმე ჩემი როლის შემსრულებელს ჩემზე გავლენა არ მოეხდინა და მისი მიბაძვით არ მეთამაშნა. მიუხედავად ამისა, უკრაინელთა წარმოდგენებს არ ვაკლდებოდი. ისინი ძლიერ მიზიდავდნენ თავისი უშუალობით, არტისტების ოსტატური თამაშით, სიმღერითა და ცეკვით. მერე ენა! რაღაც სიდიადითა და ჰუმორით არის იგი აღსავსე. მართალია მათი ლაპარაკიდან ბევრი რამ არ მესმოდა, მაგრამ ინტუიციით ვხვდებოდი უცნობ სიტყვებს. მათი შეუდარებელი ცეკვა—გოპაკი პირდაპირ გვაჯადოვებდა. შესანიშნავი მოცეკვავეებიც ჰყავდათ და მათ შორის სულ ახალგაზრდა შატკოვსკი, რომელიც ჩემი ქმრის—ვასო აბაშიძის ნათესავი იყო (ვასოს დედა უკრაინელი გაქართველებული ქალი იყო, გვარად შატკოვსკაია). უკრაინის თეატრის მოღვაწენი საერთოდ ჩვენს თეატრს თანაგრძნობით ეპყრობოდნენ. ისინი ჩვენს მსახიობებთან ყოველთვის მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ და მიეცემოდათ თუ არა რაიმე საბაბი, ამ თანაგრძნობას და პატივისცემას ყოველთვის გამოსთქვამდნენ. საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის არქივში სხვათა შორის დაცულია ის ადრესიც, რომელიც უკრაინის დრამატიულმა წრემ მაკო საფაროვ-აბაშიძეს მიართვა მისი 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავ იუბილეს დღეს ქ. თბილისში —1912 წელს. ადრესი გულთბილად არის დაწერილი. მუზეუმში დაცულია აგრეთვე ჩვენი სცენის მოღვაწეების—ვ. აბაშიძის, ნ. გაბუნიასა და სხვებისადმი მიძღვნილი ადრესები.

გადაჭრით გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივი კვება

მესამე სტალინურ ხუთწლედში საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების ამოცანები მთელი თავისი სერიოზულობით დააყენა ჩვენს წინაშე საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ. საზოგადოებრივი კვების ხელმძღვანელ ორგანიზაციებს ამ ამოცანების შესაბამისად მუშაობის მკაფიო პროგრამა მისცა ამხ. მიქოიანმა თავის შესანიშნავ სიტყვაში.

სამწუხაროდ, ჩვენი საზკვების ორგანიზაციებს ჯერ კიდევ სათანადოდ არ გარდაუქმნიათ მუშაობა პარტიის XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა მიხედვით.

შემოწმებამ, რომელიც ამ დღეებში გაზ. „კომუნისტის" რედაქციის ბრიგადებმა ჩაატარეს თბილისის საზკვების ტრესტის მთავარ სასადილოებსა და კაფე-რესტორანებში, მეტად არასასურველი სურათი გადაგვიშალა. მართალია, არის ერთგვარი ძვრები მთელი რიგი სასადილოების მუშაობაში, გააუმჯობესეს მუშაობა მთელმა რიგმა წამყვანმა სასადილოებმა (სასტუმრო „თბილისის", „ორიანტის", ფუნიკულიორის სასადილოები), მაგრამ ეს ოდნავადაც არ არის დამაკმაყოფილებელი.

უნდა აღინიშნოს ერთი ყოვლად დაუშვებელი მოვლენა, რომელიც თბილისის თითქმის ყველა სასადილოს ახასიათებს. ეს არის დროის ფაქტორის დაუფასებლობა, რაც მომხმარებლების აბუჩად აგდებამდე მიდის.

გასული წლის დეკემბრის ისტორიული დადგენილებიდან, როგორც სჩანს, ჩვენი სასადილოების მუშაკთა ზოგიერთ კოლექტივს არავითარი დასკვნა არ გამოუტანია. უბრალო საუზმისა თუ სადილისათვის მოქალაქეებს საათობით უხდებათ ლოდინი. ქეიფის მოყვარულ ხალხს კი, რომელსაც დრო არც თუ ისე ძვირად უღირს, მოსამსახურე პერსონალი ფარვანასავით ევლება თავს, ცხადია „სარფის" მოლოდინში.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის სასადილოში (დირექტორი ამხ. ნ. გურგენიძე) მოქალაქე ორი საათის ლოდინის შემდეგ (მაშინ, როდესაც ხუთი მიმტანი თავისუფლად დასეირნობდა) იძულებული გახდა დაეტოვებინა სასადილო. 5 ივლისს ფეხსაცმლის ფაბრიკის ფაბკომის თავმჯდომარემ ამხ. გედევანიშვილმა თავის ამხანაგებთან ერთად მაგიდა დაიკავა 11 საათსა და 20 წუთზე. ერთი საათის განმავლობაში მისთვის არავის მიუხედავს. როცა მათ ადმინისტრატორი (შენგელია) გამოიძახეს, მან უხეშად გაისტუმრა ისინი, გვიან არის და დაკვეთას აღარ მივიღებთო, მაშინ როდესაც ის ვალდებულია დაკვეთები მიიღოს ღამის 1 საათამდე. აქ ხშირად გაიგონებთ ლოდინით განერვიულებულ მოქალაქეთა ხელების ბრახუნს, თეფშების წკრიალს. ასევეა ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის სასადილოში, „ქიზნში", „კავკაზში", სასტუმრო „თბილისის" სასადილოში და სხვ. უნაყოფოდ იკარგება ძვირფასი დრო, თავი რომ დავანებოთ მოქალაქეთა ნერვებზე თამაშს.

„მენიუ" ანუ საჭმელ-სასმელის ნუსხას თითქმის ვერ ნახავთ მეტწილ სასადილოებში. ეს იმიტომ, რომ „მენიუ" წამგლეჯთათვის არ არის ხელსაყრელი. და თუ ნახავთ „მენიუს", ის ფაქტიურად არაფერში გამოადგება მომხმარებელს. სასადილო „ქიზნში" (დირექტორი ანდრიაძე) ოფიციანტმა ტყეშელაშვილმა მომხმარებელს განუცხადა: „გენაცვალე, რად გინდა „მენიუ", რაც შიგ სწერია, სამზარეულოში არ არის, რაც სამზარეულოშია — ზეპირად ჩამოგითვლით". „მენიუში" ხომ ყველა პროდუქტი უნდა იყოს აღნიშნული თავისი ფასებით და რაციონის წონით, მაგრამ ასე თითქმის არსად არ არის.

მაგალითად, ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკის სასადილოში „მენიუში" არ შეაქვთ სალათის, კიტრის, ღვინის, ლუდის და სხვ. ფასები.

ამის შედეგად ხშირად მოტყუებული რჩება მომხმარებელი. მაგალითად, იმავე ორჯონიკიძის სახელობის პარკში ჩვენი ბრიგადის მიერ დაკვეთილი სუკის წვადი აწონის შემდეგ ნორმაზე ოცი გრამით ნაკლები აღმოჩნდა. სასადილო „იმერში" (რუსთაველის პროსპექტი № 16) ლობიოთი ხორცის კერძი 90 კაპ. გადამეტებით იყიდება. საქფილეგთის ბაღის სასადილოში სალათი 1 მან. 70 კაპ. ნაცვლად 4 მანეთად იყიდება, ფუნიკულიორის პარკში 50 გრამ ხიზილალაში 150 გრამის ღირებულება გადაახდევინეს მომხმარებლებს. 6 ივლისს სალათი 2 მან. და 50 კაპ. ნაცვლად 3 მან. და 50 კაპ. იყიდებოდა. ერთსა და იმავე კერძზე სხვადასხვა სასადილოში სხვადასხვა ფასია დადებული.

გარდა იმისა, რომ წონის დაკლებასა და ფასების გადიდებას აქვს ადგილი, ხშირია შემთხვევა, როცა წამგლეჯი ოფიციანტი თავისუფლად ახერხებს მომხმარებლისათვის ზედმეტის მიწერას. მაგალითად, 6 ივლისს სასადილო „ქიზნში" ოფიციანტმა ტყეშელაშვილმა მომხმარებელს ზედმეტი მიაწერა 7 მანეთამდე.

აღმაშფოთებელი ის არის, რომ ასეთი უმსგავსოებანი ხდება და სასადილოების ხელმძღვანელები დამშვიდებით უყურებენ ამას, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას. კიდევ მეტი. ზოგჯერ კიდეც ექომაგებიან წამგლეჯებს, როცა მოტყუებული მომხმარებელი ხმას აღიმაღლებს ხოლმე. მაგალითად, სასადილო „ქიზნში" 6 ივლისს დირექტორი მ. ანდრიაძე ხულიგნურად მოეპყრო მოსადილე მოქალაქეებს, და ისიც „კომუნისტის" რედაქციის ბრიგადის წევრებს, რომლებმაც თავი არ მოატყუებინეს მიმტან ტყეშელაშვილს. იმის მაგიერ, რომ დამნაშავე დაესაჯა, ანდრიაძემ ბრიგადის წევრებს დაუწყო ლანძღვა-გინება, გამოსტაცა ხელიდან საჩივრის წიგნი, გამოუძახა მის ნასუფრალზე შეჩვეულ მილიციელებს და ისინი მილიციაში წააყვანინა, წაუყენა მათ ბრალდება, თითქოს ფულის გადახდა არ უნდოდათ. ალბათ, დირექტორის სუფრის ხშირმა სტუმარმა, მეხუთე სამილიციო განყოფილების მორიგე მილიციელმა ბეროზაშვილმა ისედაც დაზარალებულ მოქალაქეებს ანდრიაძის ყალბი ინფორმაციის საფუძველზე შეუდგინა ოქმი. საქმეში სტალინის რაიონის პროკურორი რომ არ ჩარეულიყო, ცრუ მოწმეების საშუალებით მათ „ჩასმასაც" უპირებდა თავხედი დირექტორი, რომელიც თავის სასადილოში წამგლეჯურ ტენდენციებს ხელს უწყობს.

მომხმარებლებისადმი ცინიკური, თავხედური მოქმედებით ხასიათდება აგრეთვე ფუნიკულიორის სასადილოს ადმინისტრატორი პეტრე შენგელია, რომელიც სრულებით არ შეეფერება თავის თანამდებობას. საჩივრის წიგნი სავსეა მომხმარებელთა საჩივრებით მისი უხეშობის შესახებ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს მომხმარებელთა საჩივრებისადმი უყურადღებობის გამეფებული პრაქტიკა, მაშინ როდესაც მომხმარებელმა თავის საჩივარზე პასუხი 24 საათში უნდა მიიღოს. პ. შენგელიას შესახებ მაისში ჩაწერილ საჩივრებზე ყური ჯერაც არავის გაუბერტყავს. „ქიზნის" დირექტორის მოადგილე ქეიშვილი კერძით უკმაყოფილო მოქალაქის საჩივარზე ასეთ უბადრუკ რეზოლუციას ადებს: „მოქალაქე აცხადებს ბუღლამის წუნულს (?) საჭმლის მოთავების შემდეგ ვითომ ბევრი ძვალი და ძარღვი ყოფილიყო, მაგრამ აღმოჩნდა ორი გვერდის ძვალი და მოქალაქე ამ შემთხვევაში ძაან სტყუის"... (ვიცავთ მის მართლწერას. — **რედ.**).

ჰკითხეთ ჭკუა ქეიშვილს! რაკი შესჭამა, მაშ კარგი ყოფილა! — ასეთია მისი ცინიკური ლოგიკა.

სრული ქაოსია სასადილოების მომარაგების, სურსათ-სანოვაგის შეძენის საქმეში. საზკვებტრესტის ცენტრალური ბაზა, რომელიც უნდა ამარაგებდეს ტრესტის სისტემაში შემავალ სასადილოებს, ვერ უზრუნველჰყოფს მათ საკმაო პროდუქტებით. მიწოდებული პროდუქტებიც ძალიან დაბალი ხარისხისაა. მაგალითად, 5 ივლისს სასადილო „კავკაზში" სადილობის დროს არ იყო არც ლუდი, არც ღვინო. 6 ივლისს საღამოთი არ აღმოჩნდა არც ლუდი, არც ლიმონათი. ასევე ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. 6 ივლისს საღამოს არ იყო არც ლუდი, არც ღვინო. ხალხს აწვდიდნენ დატკბილულ სუროგატს. სამზარეულოშიაც კერძები გამოლეული იყო.

საზკვებტრესტის სასადილოების მეტი წილი მოუწყობელია. ამჟამად, როცა მომხმარებელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, ტრესტი ორი სასადილოს რემონტს აწარმოებს. სტალინის სახ. პარკის სასადილოში ტრესტს აქამდე ვერ მოუგვარებია მაცივრის მშენებლობის დამთავრება (სჭირდება მხოლოდ 8 ტონა ცემენტი) და დამთავრებული ლიფტის გაშვება. ტრესტის სასადილოებისათვის დაახლოებით 5.000 ცალამდე სხვადასხვა თეთრეულია (მაგიდის საფრები, ხალათები, ხელსახოცები და სხვ.), რაც საშუალოდ 40-50 პროცენტით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. აღნიშნული თეთრეულის რეცხვაზე ტრესტი წლის განმავლობაში ხარჯავს 300.000 მანეთამდე, მაშინ როდესაც მექანიზებული სამრეცხაოს აშენება დაჯდებოდა დაახლოებით 100 ათასი მანეთამდე და რეცხვის პროცესსაც დააჩქარებდა.

სეზონურ შეჭამანდს საზკვებტრესტის თითქმის ვერცერთ სასადილოში ვერ ნახავთ. უბრალო ახალი ლობიო, ფხალი რა არის — თითქმის არსად არ მზადდება. საქართველო განთქმულია გემრიელი საჭმელებით. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მოქალაქეები „მენიუში" ხშირად დაეძებენ ქართულ საჭმელებს, მაგრამ ამაოდ. ქართული ლავაშიც კი განდევნილია საზკვებტრესტის სასადილოებიდან. საუცხოო თევზეულით არის ჩვენი მხარე განთქმული. საზკვების ტრესტის სასადილოებში ვერსად ვერ ნახავთ „ხრამულს", ლოქოს ან სხვა თევზეულს. იშვიათად თუ სადმე აღმოაჩენთ სულგუნს.

მდარეზე მდარეა კერძების ხარისხი. დაუკვეთავთ ბატკნის წვადს, მოაქვთ ბებერი ცხვრის ხორცისაგან გაკეთებული წვადი ისე, რომ მომხმარებელს არც კი აფრთხილებენ. სუკის წვადად საღდება ყველა ნაჭერი, რომელსაც სუკთან საერთო არაფერი აქვს. კერძები მთელ რიგ სასადილოებში მზადდება დაუდევრად და უსუფთაოდ. სასადილო „კავკაზში" მაკარონში აღმოჩნდა შუშის ნამტვრევები, ასეთივე ნამტვრევები აღმოჩნდა შეჭამანდშიაც. სასადილო დარბაზი სავსე იყო ბუზებით. ჩვენი ბრიგადის წევრებმა ტყემალში, რომელიც მათ ოფიციანტმა მღვდელაძემ მიუტანა, დაინახეს რაღაც შავი „ცხოველი". „არაფერია, ალბათ ბუზი იქნებაო" — უპასუხა მღვდელაძემ. მან მათ მიუტანა გაურეცხავი ჭიქები. როცა შენიშვნა მიიღო, თავი ასე იმართლა: „ბოდიში, გარეცხვა დავიწყებიათო".

მთელ რიგ სასადილოებში იყიდება ზოგი საეჭვო არტელის ყოვლად უვარგისი ღვინო. როცა სასადილოების ხელმძღვანელ მუშაკებს საკვების ცუდ ხარისხზე და სიმცირეზე მიუთითებთ, თავს იმართლებენ „ბაზა არ გვიგზავნისო". საინტერესოა, ვინ „უგზავნის" მათ ამ სუროგატებს, ამ საეჭვო სითხეს, რომელსაც ღვინის გარდა ყველაფრის გემო აქვს! სამტრესტის ღვინოს იშვიათად თუ შეხვდებით. ახლა საზკვებტრესტს გამოუშვია თავისი „ნაწარმოები" ღვინო „ობპიტ"-ის სახელწოდებით, რომელიც მეტად მდარე ხარისხისაა, ხოლო იყიდება, როგორც იტყვიან, „მამასისხლად". სასტუმრო „თბილისის" სასადილოში ამ ღვინოს 8 მან. 40 კაპ. ჰყიდიან. სამტრესტის ღვინოებზე თითქმის სამი მანეთით მეტი ღირს და სამჯერ უფრო უარესია. რაშია საქმე?

მთელ რიგ სასადილოებში ყურადღება არ ექცევა სისუფთავეს. საკმაოდ არ არის მაგიდის საფრები. სამზარეულოებში, ბუფეტებში მომუშავეებს ხშირად ნახავთ ჭუჭყიან სპეცტანსაცმელში. მაგიდებზე ხელსახოცები იშვიათად არის. მაგალითად, ორჯონიკიძის პარკში მომხმარებლები იძულებული არიან მაგიდის საფარზე გაიწმინდონ ხელი.

წესრიგის დაცვის საქმე ხომ სულ უყურადღებოდ არის მიტოვებული. მაგალითად, სასადილო „იმერში" განუწყვეტლივ ისმის ღვინით გალეშილი პირების მომაბეზრებელი სიმღერა და ღრიანცელი. 7 ივლისს ჩვენი ბრიგადის წევრები ასეთი ფაქტის მოწმენი გახდნენ. გალეშილ მოქალაქეს, რომელსაც ღვინო პირიდან ამოსდიოდა, გაურბოდნენ მოქალაქენი, რომ არ დასვრილიყვნენ. სასადილოს მოსამსახურე გვაზავამ მას შემდეგ, როცა ამ მოქალაქეს პირს აღებინა, კიდევ მიუტანა ორი ბოთლი ღვინო. ქუჩის მაწანწალები აქ მომხმარებლებს მაგიდიდან საჭმელს სტაცებენ. სასადილო „ქიზნში" ერთი ქუჩის მაწანწალა ქალი წაღმა-უკუღმა იფურთხებოდა და გენერალივით გამოწყობილი „შვეიცარი" კი თავისთვის იჯდა და ბუზებს ითვლიდა. წესრიგის დაცვის საქმეში მილიციის ზოგი მუშაკი ხშირად შემარიგებლობას იჩენს.

შეიძლებოდა კიდევ მრავალი ფაქტის ჩამოთვლა. დასასრულ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო ვაჭრობის ინსპექცია თითქმის არაფერს აკეთებს ზემოჩამოთვლილ უმსგავსოებათა აღმოსაფხვრელად. საზკვებტრესტის საუწყებო ინსპექციის უფროსი ამხ. ჩადრანოვი (თბილსაზკვებტრესტის დირექტორის მოადგილე) შეუწყნარებელ უყურადღებობას იჩენს მომხმარებელთა საჩივრებისადმი. საჩივრებს ადგილზე ძალიან იშვიათად თუ შეამოწმებს. მეტწილად ელოდება ასეთების თვითდინებით მიღებას (მაგალითად, შენგელიას მიმართ საჩივარი და სხვ.). ტრესტის მმართველი ამხ. კილასონიაც სასადილოების იშვიათი სტუმარია.

ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქი თბილისი სანიმუშო ქალაქი უნდა იყოს საზოგადოებრივი კვების მხრივაც. თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტისაგან ჩვენ მოვითხოვთ მუშაობის ძირეულად გარდაქმნას. მოვითხოვთ მისი სისტემიდან იმ წამგლეჯთა და გარეწართა განდევნას, რომლებიც მხოლოდ თავის ჯიბეზე ფიქრობენ. საქ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი, რომელმაც დღემდე ჯეროვანად ვერ უზრუნველჰყო თბილსაზკვებტრესტის მუშაობის საფუძვლიანად გარდაქმნა, მოვალეა სათავეში ჩაუდგეს მომხმარებელთა კულტურული მომსახურების საკითხის გადაჭრით გაუმჯობესებას XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

გაზ. „კომუნისტის" ბრიგადა

ჩვენ გვწერენ

„ხითაროვის პასაჟი"

კარგა ხნის ისტორია აქვს ამ პასაჟს. წინათ ის კერძო მესაკუთრეს ეკუთვნოდა, ამჟამად აქ გაჩაღებულია საბჭოთა კულტურული ვაჭრობა.

ამ პასაჟში თავმოყრილია 80-ზე მეტი მაღაზია და სავაჭრო წერტი,— რომლებიც მომსახურებას უწევენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ კოლმეურნე გლეხებს და ქალაქის მცხოვრებთ.

პასაჟი ყოველდღიურად ორი ათასზე მეტ მომხმარებელს ატარებს. მაგრამ მას არავითარ ყურადღებას არ აქცევს 26 კომისრის სახელობის რაისაბჭო. პასაჟი დანგრევისა და განადგურების გზაზეა დამდგარი. აქ წვიმა ისე ჩამოდის, რომ მაღაზიებისა და წერტების გამგეები წვიმისაგან მიყენებული ზარალის გამო აქტების წერას ველარ აუდიან. პასაჟის თავზე მცხოვრები 50-მდე ოჯახი, წვიმის დროს აუტანელ მდგომარეობაში ვარდება.

26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს საბინაო სამმართველო და სადარაბო სექცია, რომლის განკარგულებაშიაც იმყოფება აღნიშნული პასაჟი, არ ზრუნავს მისი სახურავის და შიგნითა კედლების შეკეთებაზე.

დღემდე ამ ბაზარს შერჩენილი აქვს მისი ყოფილი მეპატრონის ხითაროვის სახელი. ეს სახელი აწერია ბაზრის ბეჭედსა და შტამპსაც. ბაზრის ადგილობრივმა ორგანიზაციამ არც იმაზე იზრუნა, რომ ძველი ვაჭრის სახელის ნაცვლად ბაზრისათვის ახალი სახელი ეწოდებიათ.

გარდა იმისა, რომ ამ ბაზრის კეთილმოწყობას და მიმდინარე შეკეთებას სათანადო ყურადღება არ ექცევა, ბაზარში არსებული მაღაზიები და წერტები მცირე და მდარე ხარისხის საქონლით მარაგდება.

მ. სურგულაძე.



„ჯავშნოსანი პოტიომკინი" თბილისის საოპერო თეატრში. (სცენა II მოქმედებიდან)

„ჯავშნოსანი პოტიომკინი"

მუსიკა—ო. ჩიშკოსი, დადგმა — რეჟის. გ. ჟურულისა, მხატვარი — პროფ. ი. შარლემანი.
, დირიჟორი—შ. აზმაიფარაშვილი.)

თბილისის ზაქ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანმა თეატრმა სეზონის მიწურულში მაყურებელს უჩვენა **ო. ჩიშკოს** ოპერა **„ჯავშნოსანი პოტიომკინი"**. ჩვენი ოპერის თეატრის რეპერტუარს ამ დადგმით შეემატა კიდევ ერთი საინტერესო, რევოლუციური შინაარსის საოპერო სპექტაკლი.

ოპერა აცოცხლებს ჩვენს წარმოდგენაში რევოლუციური მოძრაობის იმ შესანიშნავ ფაქტს, როცა მოხდა „პირველი ცდა რევოლუციური არმიის ბირთვის შექმნისა" (**ლენინი**) ფლოტში.

მეზღვაურების აჯანყება „ჯავშნოსან პოტიომკინზე", რომელმაც თავის დროზე მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, გაცოცხლებულია ო. ჩიშკოს ოპერაში. ამ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის მუსიკალურ-დრამატიული ხორცშესხმა თავის დროზე შეფასებული იყო, როგორც საბჭოთა ოპერის საყურადღებო მიღწევა.

„პოტიომკინის" მეზღვაურთა გმირული ეპოპეა ოპერაში მაშინ სწყდება, როცა აჯანყებულ ჯავშნოსანს დამსჯელი ესკადრა უახლოვდება. „პოტიომკინის" მეზღვაურები გადასწყვეტენ თავი შეაკლან მტერს, ოღონდ ცოცხლად არ დანებდნენ. მებრძოლებმა ბუნებრივი თანაგრძნობა ჰპოვეს დამსჯელი ესკადრის ერთერთი გემის მეზღვაურებში და ორივე გემის მეზღვაურთა სიმღერები — „თავისუფლების დროშას არ დავთმობთ" და „ჰეი, პოტიომკინელნო, წინ გასწით!" ოპერის ფინალს იშვიათი ოპტიმიზმით ამეტყველებენ. ოპერის ლიბრეტოს ავტორებმა — პოეტმა **ს. სპასკიმ** და **ო. ჩიშკომ** შესძლეს ტრაგიკული რევოლუციური ფაქტიდან ისეთი გმირული პათოსით გაჟღენთილი ნაწარმოების მოცემა, რომელიც დამახასიათებელი იყო ოქტომბრის დიდ რევოლუციაში გამარჯვებული პროლეტარიატის საბრძოლო განწყობილებისათვის.

ოპერა იწყება იმ მღელვარების დინჯი ეპიკური თხრობით, რომელმაც მოიცვა რუსეთის მუშათა კლასი რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ. მუსიკალურ პაუზას აქ ავსებს ზღვის ტალღების მოძრაობა, რაც სურათოვნად წარმოგვიდგენს მშრომელი მასების საერთო მღელვარებას იმდროინდელ რუსეთში. ეს შესავალი სცენა რეჟისორულად ოსტატურად არის მოფიქრებული, მას უთუოდ შეჰყავს მაყურებელი 1905 წლის რევოლუციურ იდეათა სფეროში და ამზადებს ამბის შემდგომი განვითარებისათვის.

ოპერაში მასა მთავარ როლს ასრულებს. მასობრივი სცენები მუსიკალურ-ვოკალური თვალსაზრისით თითქმის უნაკლონი არიან. ასეთია, მაგალითად, აჯანყების სცენა, ვაკულინჩუკის ცხედრის გადასვენება, მეზღვაურების ფიცი დაღუპული მოძმის ცხედართან, ბრძოლის ჰიმნი — „პოტიომკინელნო, წინ!" და სხვ. უაღრესად დრამატიული პათოსი ახასიათებს ამ სცენებს, რომლებშიაც ოპერის სიმფონიური და ვოკალური განვითარების სინთეზი ახლებურად არის გადაჭრილი.

საგუნდო სიმღერებში უხვადაა გამოტანილი უკრაინული და რუსული ხალხური მელოდიები, რომლებსაც მომხიბლავი უბრალოება და მაღალი მუსიკალობა ახასიათებს.

მაგრამ ამავე დროს ოპერას მთელი რიგი დასანანებელი ნაკლი აქვს. მომქმედ პირთა უმრავლესობის ინდივიდუალური სახეები ოპერაში სუსტად არის მოხაზული. ეს იმის ბრალია, რომ სასოლო პარტიები, რომლებიც უმთავრესად სიმღერებია და არა არიები, მუსიკალურად ისე გულმოდგინედ არ არის დამუშავებული, როგორც საგუნდო ეპიზოდები, და ამიტომ მძლავრი საგუნდო სიმღერების საერთო ფონზე ღარიბულად გამოიყურებიან. ო. ჩიშკოს სამართლიანად მიუთითებდნენ ხელოვნების ოსტატები, რომ თავის ოპერაში მას დავიწყებული ჰყავს ინდივიდუალური შემსრულებელი. ისეთი წამყვანი გმირებიც კი, როგორიცაა მატუშენკო, ვაკულინჩუკი, კაჩურა და სხვ., მოკლებული არიან დამახასიათებელ არიებს, რომელშიაც მომღერალს შეეძლებოდა ფართო მუსიკალურ-ვოკალური დიაპაზონის გამომჟღავნება. თავისთავად ცხადია, რომ ოპერაში მომღერალი მარტო რეჩიტატივით ან სიმღერის შესრულებით არ შეფასდება. მომღერალმა გარდა იმისა, რომ უნდა იმღეროს, უნდა გახსნას გმირის ხასიათი, მისცეს მას რეალური კონკრეტულობა და მხატვრულად განზოგადოების ძალა. ეს დიდი და პასუხსაგები ამოცანა მომღერალს მხოლოდ კომპოზიტორის დახმარებით შეუძლია გადასჭრას.

მიუხედავად ამ ნაკლისა, „ჯავშნოსანი პოტიომკინი" მუსიკალური დამაჯერებლობით გადმოგვცემს ჩვენი მუშათა კლასის ბრძოლის უაღრესად გმირულ ეპიზოდს.

ოპერის დამდგმელს რეჟისორს **გ. ჟურულს** და მხატვარს პროფ. ი. შარლემანს თავიანთ მუშაობაში კარგად გაუთვალისწინებიათ ო. ჩიშკოს ოპერის ღირსებანი და ნაკლოვანებანი. დამდგმელი ცდილობს მისცეს მომქმედ პირს საკუთარი სცენიური სახე, მათი სიმღერები დასამახსოვრებელი გახადოს და ამ მიმართულებით საჭირო ეფექტსაც აღწევს. ასეთია, მაგალითად, გრუნიასა და ვაკულინჩუკის დუეტი, მატუშენკოს და კაჩურას სიმღერები, გრუნიას ტირილი და სხვ. მუსიკალური პაუზები გ. ჟურულს ნიჭიერად დაუმუშავებია და მოქმედებით შეუვსია.

რაც შეეხება მასობრივ სცენებს, ისინი მეტად ეფექტიურად არიან ამეტყველებულნი. დადგმაც რეალისტურ ხაზებში არის გაფორმებული პროფ. ი. შარლემანის მიერ.

ვაკულინჩუკის პარტიას ასრულებენ **ვ. შარაშიძე**, და **გ. გრიგორაშვილი**. ორივე მომღერალმა მოგვცა მებრძოლი მეზღვაურის საინტერესო სცენიური სახე. ვ. შარაშიძე ამ პარტიას წარმატებით და გამოცდილებით მღერის. გ. გრიგორაშვილმა დაგვიდასტურა თავისი შემოქმედებითი ზრდა. მან შესანიშნავად ჩაატარა დუეტი გრუნიასთან პირველ მოქმედებაში და სიკვდილის სცენა განსაკუთრებით დასამახსოვრებელი ფერადებით მოგვცა.

გრუნიას როლს ასრულებს **ნ. ცომაია**, მისი ძლიერი დრამატიული სოპრანო ძალოვნად ბგერს ვაკულინჩუკის ცხედრის ნაპირზე გადასვენების სცენაში. მართალია, მომღერალს სასიმღეროდ მაინცდამაინც მდიდარი სიტყვიერი მასალა არა აქვს, მაგრამ ის, რაც მის განკარგულებაშია, შესრულების მაღალი ოსტატობით არის აღბეჭდილი. „—გრიშა, ძვირფასო გრიშა"—მოსთქვამს იგი და საკმაოდ მოხდენილი სცენიური მიმიკით იძლევა ქალის სულიერი ტანჯვის მკვეთრ სურათს. მაღალი არტისტული ტემპერამენტით ჩაატარა მან მეზღვაურთა დასახმარებლად მოწოდების სცენა.

მატუშენკოს პარტიას ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები **დ. ანდღულაძე** და **ნ. ქუმსიაშვილი**. ორივეს ეს პარტია ზედმიწევნით აქვთ დამუშავებული თვით დეტალებშიაც კი და აჯანყების მეთაურის მართალ სცენიურ სახეს იძლევიან. დიდი პათოსით შესრულა სიმღერა ქარზე დ. ანდღულაძემ, ას საერთოდ ამ პარტიას მძაფრ დრამატიულ ტონებში გადმოგვცემს. ნ. ქუმსიაშვილი კი მას ნაზი ლირიზმით ათბობს.

კაჩურას როლს ასრულებს **დ. გამრეკელი**. მისი მდიდარი და ლამაზი ტემბრის ხმა ადვილად იმორჩილებს ამ პარტიის შედარებით არც თუ ისე მაღალ რეგისტრებს. განსაკუთრებული ოსტატობით შეასრულა მან სიმღერა შევარდენზე და არყის ხეზე. საუცხოოდ ბგერდა მისი ფრაზა—„კაჩურამ უღალატა, კაჩურა მოღალატეა". სცენიურად მსახიობს დასჭირდება მოძრაობის და ჟესტის დახვეწა.

გოლიკოვის როლში კარგი იყო **ვ. ხამაშურიძე**.

დანარჩენ შემსრულებელთა შორის გამოირჩეოდნენ **მ. ცაგურია** (1 მეზღვაური), **პ. ჩახუნაშვილი** (გილიაროვსკი), **ა. ბუთხუზი** და **გ. ლომიძე**.

თბილისის სახელმწიფო ოპერის გუნდმა დაამტკიცა, რომ იგი ძლიერი მხატვრული კოლექტივია. ოპერის მთელი სიმძიმე, როგორც აღვნიშნეთ, საგუნდო ანსამბლშია გადატანილი. ამიტომ გუნდს ფრიად პასუხსაგები ამოცანა ჰქონდა დაკისრებული. გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა მან წარმატებით დასძლია დირიჟორ **შ. აზმაიფარაშვილის** დახმარებით, რომელსაც მშვენივრად აქვს გამოვლინებული ო. ჩიშკოს მუსიკის თავისებურებანი.

სუსტია ამ დადგმის ქორეოგრაფიული მხარე. „ჯავშნოსან პოტიომკინში" მეზღვაურთა ცეკვა უფერულად არის მოცემული ბალეტმეისტერ **ვ. ლიტვინენკოს** მიერ.

ოპერა „ჯავშნოსანი პოტიომკინი" ერთერთი გამარჯვებული დადგმაა თბილისის სახელმწიფო ოპერისა მიმდინარე სეზონში.

ა. ბარათელი

ი. გრიშაშვილი გორელ პიონერებთან

გორი, (საკ. კორ.). [illegible] სამშობლო ქალაქ გორში [illegible] ნერ - მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკი. [illegible] ზეიმად გადაიქცა. ზეიმზე პიონერებმა მოიწვიეს ბავშვების საყვარელი პოეტი ი. გრიშაშვილი, რომელსაც კოცონთან შეხვდნენ.

გრიშაშვილის შემოქმედების შესახებ წაკითხულ იქნა პატარა მოხსენება, რის შემდეგ პიონერებმა წაიკითხეს როგორც გრიშაშვილის, ისე სხვა ქართველი პოეტების ლექსები. საკუთარი საბავშვო ლექსები წაიკითხა ი. გრიშაშვილმა.

6 ივლისს სოფელ ატენში გაიხსნა რაიონის პიონერ - მოსწავლეთა დასვენების ბანაკი, სადაც ასზე მეტი ბავშვი ისვენებს.

ივ. ურჯუმელაშვილი

ლიტერატურული გადაცემა

დღეს, 12 საათსა და 15 წუთზე საქ. რადიოკომიტეტის ლიტერატურულ-დრამატიული განყოფილება აწყობს რუსთაველისა და შევჩენკოსადმი მიძღვნილ ლიტერატურულ გადაცემას, რომელშიაც მონაწილეობენ ქართველი და უკრაინელი მსახიობები: ვ. ანჯაფარიძე, ი. მარიანენკო, ვ. ივიცკი, პ. კობახიძე.

წაკითხული იქნება ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან" და შევჩენკოს ნაწარმოებებიდან.

ახალი კომედია

სეზმან ერთაწმინდელმა დასწერა სამმოქმედებიანი კომედია, რომლის თემაა დღევანდელი ოჯახი და სპორტი. პიესის სახელწოდებაა „ფეხბურთი".

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

18 ივლისს ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში—ამხ. ს. მოისწრაფიშვილის ლექცია თემაზე: ბოლშევიკების ტაქტიკა სტოლიპინის რეაქციის პირობებში. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სტალინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში—ამხ. უჩაევის ლექცია თემაზე: ლენინის აპრილის თეზისები. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

18 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა.

პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1502413, გაცემული ამავე რაიკომის მიერ გარეგინ ერემიას-ძე ოგანესიანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის პარტბილეთი № 2847360, გაცემული ამავე რაიკომის მიერ თედორე ნიკოლოზის-ძე ნოდიას სახელზე, და 1936 წლის ნიმუშის საკანდიდატო ბარათი № 0928341, გაცემული ამავე რაიკომის მიერ გრიშა ილარიონის-ძე ფაჩუაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის საკანდიდატო ბარათი № 0928274, გაცემული ამავე რაიკომის მიერ მაკარი ირაკლის-ძე სალუქვაძის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველი — შემთხვევა პატარა სადგურზე. **ოქტომბერი**—მეგობრები ხელმეორედ ხვდებიან. **დამკვრელი** — ტრაქტორისტები. **დამკვრელი** (საზაფხ.) — ტრაქტორისტები. **კომკავშირელი** (საზამთრ.) — ფერადი ფილმები: 1. ზღაპარი მეთევზეზე და თევზზე, 2. ხაბანერა, 3. მგელი და შვიდი ციკანი, 4. მშვენიერი შუქფორი. **კომკავშირელი** (საზაფხ.) — საზღვარზე. **რ. ლუქსემბურგის სახ.**—ზურგი და ფრონტი. **სპარტაკი** — საზღვარზე. **26 კომისართა სახ.**—დიდი ქალაქის ჩირაღდნები. **კომინტერნი**—ცხარე დღეები. **ორჯონიკიძის სახ. კ. დ. ც. პ.**—ესკადრილია № 5.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. სახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50
12 ივლისს პირველი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი დილა
საესტრადო წარმოდგენა
მოსკოვის საკონცერტო გაერთიანების მსახიობთა შემადგენლობით.
დარსკი და მიროვი (კონფერანსიე და ინტერმედ.)
ლემანი და რუსანოვი (მელანჟ-აქტი)
ვ. დიხოვჩინი (მხატვრ. კითხვა)
დენსკაია (ვენტროლოგი)
ოლღა გოლუბევა (ჟანრი, სიმღერები)
2 ლავრენტიევი 2 (აკრობატები)
მ. რასკატოვი
მოზგოვაია და ტარხოვსკი (ბალეტი)
2 რენიატი 2 (აკრობატული ეტიუდი)
როიალთან გიორგი ბუჩაცკი და რ. სემიონოვსკაია
მხატვრ. ხელმძღვ. და დადგმა ე. პ. დარსკისა და
ლ. ბ. მიროვისა
დასაწყისი დღის 1 საათზე.

ექიმ ნ. გ. კანტოროვიჩის
თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის
კაბინეტი
ელბაქიძის დაღმართი, 21
მიღება დილის 12-დან 4 ს-მდე
მუწუკების, ფერისმჭამელას, ჭორფლის, ლაქების, კანის სიხმელის, თმის დაცვივნის, თებოს მკურნალობა, ხალების, მეჭეჭების, ნაპრილობევების და პირისახისა და თავის კანის სხვა ნაკლთა გაქრობა. 3—3 1768

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი
(ფუნიკულიორის პლატო)
12 ივლისს
აღმოსავლური მუსიკის და ჰუმორის საღამო
მონაწილეობენ: ვ. გოძიაშვილი (რესპ. დამს. არტ.), ზ. სვანიძე (ორდენოსანი), ვ. კობელი, ე. სიბილა, ზახაროვი, ჩომანოვი, გარუნ ხაზჯიანი, ვახტანგოვი, ბალმანოვი, ტასალოვი, დალნიანი, ადამაშვილი. კონფერანსიე პიერ კობახიძე (რესპ. დამსახ. არტისტი).

12 ივლისს
ს. ორჯონიკიძის სახ. კულტ. და დასვენ. ცენტრ. პარკი (ყოფ. მუშტაიდი)
პირველი გასტროლი მოსკოვის თეა-ჯაზისა
ბონდარენკოს ხელმძღვანელობით
13 ივლისს
მეორე გასტროლი მოსკოვის
თეა-ჯაზისა
ბონდარენკოს ხელმძღვანელობით.

საქ. სახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. № 3-18-50

საზაფხულო თეატრი
12, 13 ივლისს
მუდმ. ადგ. ტალ. №№ 45, 46
საესტრადო წარმოდგენა
მოსკოვის საკონცერტო გაერთიანების მსახიობთა შემადგენლობით. დარსკი და მიროვი (კონფერ. და ინტერმედიები) დაწვრილებით აფიშებში.
დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.
სალარო ღიაა დილის 11 საათიდან დღის 3 საათამდე, საღ. 6 საათიდან 11 საათამდე.

ესტრადის დახურული თეატრი
12—13 ივლისს
მოსკოვის თოჯინების სახელმწიფო თეატრის გასტროლები რესპუბლ. დამსახ. არტისტის ს. ვ. ობრაზცოვის ხელმძღვანელობით
„მოგზაურობა უცნაურ ქვეყნებში"
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ბაღში სასულე ორკესტრი ნ. ხანაგოვის ხელმძღვანელობით.
ბილეთები იყიდება

ბებია ანეტა, ბიძები ჟორა, დათიკო, ბიცოლა შუშანიკა პაპავები იუწყებიან საყვარელ
პატარა ეთერიკო გეგუჩაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 12/VII, 5 ს. ფურცელაძის, 13, ვაკის სასაფლაოზე. 2475

დამწუხრებული მშობლები ლეონტი, მერი, ძმა ლეომერი გუგუშვილები იუწყებიან საყვარელ
პატარა ნათელას
გარდაცვალებას აგარაკ წაღვერში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2476

უახლოესი ამხანაგები: მაისურაძე, ურუშაძე, ბეჟიტაშვილი, დეპეტრაშვილი, საყვარელიძე, ვასილცევი, სხილაძე და კახაძე თანაგრძნობას უცხადებენ გ. ბაკურაძეს მის შვილის
პატარა ნანულის
გარდაცვალების გამო. დასაფლავება 13/VII კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან, საღამოს 5 ს. ართვინის ქ. № 44.

საქ. პროფკავშირებთან არსებული კულტმომარაგების სასპორტო იარაღების ფაბრიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ფაბრიკის დირექტორ ამხ. ვასილ ლავრენტის-ძე გუნიას მამის
ლავრენტი გუნიას
გარდაცვალების გამო. 2473

მეუღლე ვერა, შვილები გრიშა, მიშა, ჟორა, ეთერი, რძლები ლოლა, თამარ, შურა, შვილიშვილები იუწყებიან საყვარელ
ამბაკო გიორგის-ძე აბზიანიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12/VII, 7 ს. გამოსვენება 13/VII, 5 ს. საზღვრის, 4. 2474

დამწუხრებული მეუღლე მინა, შვილები ვასო, ვანო, კოსტა, ქრისტინე, ლუბა, ვერა, რძლები, სიძეები, შვილიშვილები იუწყებიან ძვირფას
ლავრენტი (ლაუ) გუნიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/VII, ს. ეკში (სენაკი). 2472

უახლოესი ამხანაგები: კ. ბარიგიანი, ზეთეიშვილი, ძიმისტარაშვილი, ფალავანდიშვილი, იოსავა, თვალჭრელიძე, დამენია, ბონდარევი, ჩიხლაძე და დოლიძე თანაგრძნობას უცხადებენ გ. ბაკურაძეს მისი შვილის
პატარა ნანულის
გარდაცვალების გამო

მამა გიორგი, დედა მარუსა შვილებით, ვანო და შუშანა ბაკურაძეები, ბებია ოლღა, ბაბუა გიორგი გიორგაძეები მწუხარებით იუწყებიან პატარა
ნანული გიორგის-ასულ ბაკურაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 13/VII 5 ს. ართვინის ქ. № 44, კუკიის სასაფლაოზე.

ბიძაშვილები მიშა, ილო, ელენე, კოლა, ანეტა, თამარ, რუსიკო, რძლები ელენე, თამარ მალალაშვილები, შალიკო, ვანო, თამარ, ცაციკო თუხარელები იუწყებიან
ნინო ტატიშვილის
გარდაცვალებას. 2468

განსახკომის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე სამმართველოს თანამშრომლის ლეონინა პაპავა-გეგუჩაძის შვილის
პატარა ეთიკოს
გარდაცვალების გამო. 2469

დამწუხრებული მეუღლე ნინო, შვილი ქეთო, სიძე კაკო ბრეგვაძე, ცოლისძმა აკაკი კახიანი ცოლშვილით იუწყებიან
ვიქტორ ტარიელის-ძე საკანდელიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 12/VII, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე, ორჯონიკიძის, 59. 2455

დები: ნინო და ვერა, შვილები: ბაბეტა, ელო და ნინუცა, რძალი კატუშა, სიძეები: კაფიანი, ბაქრაძე და კოსტავა იუწყებიან
მარიამ გიორგის-ასულ ერისთავის
გარდაცვალებას. გამოსვენება 13/VII, საღ. 5 ს. ბესიკის ქ. № 36.

განათლების სახ. კომისარიატის ადმინისტრაცია, პარტორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან განსახკომის საუწყებო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელის ამხ. ნ. პაპავას შვილის
ეთერის
გარდაცვალებას. 2470

დამწუხრებული დედა ოლღა, მეუღლე აკაკი, შვილი თენგიზ, მამამთილი იოსებ იუწყებიან ძვირფას
ნინო ილიას-ასულ ხიმშიაშვილი-ტატიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/VII, 5 ს. გამოსვენება ნეკრასოვის, 6. 2467

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 273